

რომელი ოცნება?

„The Power of Dreams“ (***ოცნების ძალა***) – ასეთია სოიტირო ჰონდას (*Soichiro Honda,1906-1991*) მიერ დაარსებული Honda Motor Company-ს მთავარი დევიზი; ყმაწვილკაცობაში, სკოლაში სიარულთან ერთად, იგი ახერხებდა მამის გვერდით დგომას და მის დახმარებას ველოსიპედების შეკეთებაში, ხოლო ღამით ელასტიური რგოლების პროექტის განხორციელებაზე მუშაობდა, რასაც იგი თავის ოცნებებში Toyota Corporation-ზე ჰყიდდა. მას ყოველთვის მტკიცედ სჯეროდა, რომ ამ ოცნებას ოდესმე ფრთებს შეასხამდა, თუმცა, როდესაც თავისი პროექტი Toyota-ს წარუდგინა, იგი დაუწუნეს. საბოლოოდ, ორი თუ სამი წლის შემდეგ, მან დახვეწა პროექტი და Toyota-მაც შეიძინა ის! მაგრამ… *ჰონდას* რკინაბეტონი სჭირდებოდა თავისი საწარმოს ასაგებად; ამასობაში იაპონიამ მასთან დადებული კონტრაქტი ამოწურა. და მანაც ახალი გზა გამოძებნა ბეტონის მოსაპოვებლად. ომის დროს მისი ფაბრიკა მთლიანად დაიბომბა. ჰონდამ უკან მაინც არ დაიხია: მან შეაგროვა ბომბდამშენების მიერ გადმოგდებული ბენზინის ბიდონები, რითაც შექმნა ის პირველადი მასალა, რაც მას პროდუქციის მისაღებად სჭირდებოდა (მასალა, რომელიც იმ დროს იაპონიაში არ მოიპოვებოდა). ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მიწისძვრამ ერთიანად მიწასთან გაასწორა მისი ფაბრიკა; საქმეები წინ რომ წასულიყო, სოიტირო იძულებული გახდა, Toyota-სთვის მიეყიდა პატენტი სარქველების ელასტიური სახვევის საწარმოებლად. ომის დასასრულს, ჰონდა იმდენად გაღატაკდა, რომ მანქანის საწვავსაც ვეღარ ყიდულობდა; მაშინ მან ასეთი კითხვა დაუსვა საკუთარ თავს: „როგორ შემიძლია გამოვიყენო ჩემი მიზნებისთვის ყველაფერი ის, რაც მაბადია?“ ასე მოექცა მისი ყურადღების ცენტრში პატარა ძრავა და თავში იდეაც მოუვიდა, ველოსიპედზე დაემაგრებინა იგი. ამ დროს შექმნა პირველი ძრავიანი მოტოციკლი, რასაც მან უწოდა Honda Dream Type A. ორი წლის შემდეგ, 1948 წელს, დაიბადა Honda Motor Company… „The Power of Dreams“– ***„ოცნების ძალა“.***

ნებისმიერი კრიზისის, ან სირთულის ჟამს, მასთან დასაპირისპირებლად შეიძლება მართლაც დადგეს ოცნებების დრო. მაგრამ რომელია ეს ოცნებები? რა თქმა უნდა, ეს ვერ იქნება ოცნება, რომელიც აზარტული თამაშებით, ან ფსონების ჩამოსვლით განხორციელდება. ეკონომიკური გაჭირვება, გრძელვადიანი, გაუგებარი, არათანაბარი ფინანსური არჩევანი, უმუშევრობა, უფრო მეტად გაძვირებული ცხოვრება, მოჭარბებული რეაქციები, განსაკუთრებით გაჭირვებულ და დაუცველ გარემოში, – ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ადამიანმა საკუთარი ბედი გამოსცადოს, აცდუნოს, მოხსნას „ჯეკპოტი,“ რომელიც მცირე ხნით მაინც მოაწესრიგებდა მის ოჯახურსა თუ სამუშაო გარემოს. თუკი, კრიზისთან ერთად, იზრდება ოცნების აუცილებლობა, სამწუხაროდ, იზრდება საკუთარი ბედის გამოცდაც აზარტული თამაშით, – როგორც ამას მოწმობს მრავალი სოციოლოგის დაკვირვება, სხვადასხვაგვარი თამაში: ახალი ლოტოტრონები, ვიდეო-ლატარეა…, რასაც ხელს უწყობს ქალაქის ყველა ქუჩის კუთხეში გახსნილი აზარტული სათამაშო სახლები და რეკლამები. მაშ, როგორი უნდა იყოს ოცნება, რომელიც თამაშის, გულგრილობის, აპათიის მახეში არ გაგვაბამს?

ლიბანელი პოეტი, მხატვარი და ფილოსოფოსი ხალილ ჯიბრანი (1883-1931) წერდა: „მირჩევნია, ვიყო მეოცნებე, ხილვათა ახდენის მომლოდინე ღატაკთა შორის, ვიდრე ოცნებისა და სურვილების გარეშე დარჩენილი პრინცი“.

მაგალითად, ოცნება იმაზე, რომ ეროვნული და, ასევე, საერთაშორისო პოლიტიკა, არ გაცამტვერდეს, ან შავბნელი ძალების უმოწყალო თამაშს არ დაემორჩილოს, „უსახურ ადამიანთა“ ხახაში არ აღმოჩნდეს, რადგანაც ასეთი დიქტატურა რისკის ქვეშ დააყენებდა დემოკრატიას და განსაკუთრებით კი საზოგადოების ყველაზე უმწეო ფენას. უნდა შენარჩუნდეს სიახლოვე და თანადგომა გაჭირვებულ ხალხთან, რადგანაც იმედი მხოლოდ სიტყვებით, გარეგნული მხარით არ უნდა შემოიფარგლოს, იგი კონკრეტულად უნდა აისახოს ყოველდღიურ საქმეებში. მხოლოდ რეალური საერთო სიმდიდრის შექმნის იმედი, – რაც პირადი შრომის ნაყოფია, – აქცევს სარწმუნოდ და ღირსეულად ქვეყნის განვითარებას. ბოლო უნდა მოეღოს უსამართლო პრივილეგიებს ყველა სფეროში, მკაცრი ზომები უნდა იქნას მიღებული სოციალური სამართლიანობის დასადგენად. თუკი არსებობს ფინანსური სამოთხე, ეს ნიშნავს, რომ არსებობს სიღატაკისა და უსამართლობის ჯოჯოხეთი, რომელიც აუცილებლად უნდა განადგურდეს. უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, რაც სხვების სასიკეთოდ გაკეთდება, მაგრამ სხვებთან ერთად, მათი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით.

ოცნება იმაზე, რომ საჭიროა ყველამ აიღოს პასუხისმგებლობა თავ-თავიანთ სფეროში და პატივი სცეს სიმართლეს, როგორც საზოგადოების მშვიდობის, სამართლიანობისა და თანაცხოვრების ფუნდამენტურ პირობას.

ოცნება თაობათა შორის დამყარებულ ახალ კავშირზე, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სოციალურ კავშირებს ადგილობრივ დონეზე, ახალი მოქალაქეობის ჭრილში, სადაც პოლიტიკა აღიქმება იდეების ფართო ქსელად და საკუთარი მოქალაქეობრივი მოვალეობის აღსრულებად. იმისათვის, რომ ქვეყნის განვითარებამ უფრო ფართო ასპარეზი მოიცვას, აუცილებელია ძლიერი სოციალური ერთიანობა, განსაკუთრებით იმ ზონაში და იმ კლასში, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის ეკონომიკურ სიდუხჭირეს. პოლიტიკას უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ შორს განჭვრიტოს, მისი მზერა გასწვდეს ინდივიდების სვე-ბედს. მცირედი მაინც გადაარჩინოს ამ ღრმა სულიერების მქონე ხალხის ჭეშმარიტი ტრადიციებიდან, – რომელიც დაშორებულია იმ სლოგანებიდან, რასაც ასე ხშირად აფრიალებენ ვიწრო ნაციონალისტური დროშის სახელით, – იმ ტრადიციებიდან, რაც მემკვიდრეობად დატოვეს ცნობილმა ამაგდარებმა და უბრალო მოქალაქეებმა.

ოცნება თავისუფალ ქვეყანაზე: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა რეგიონში დემოკრატიის მაგალითად ითვლება, ისეთი დიდი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა „თავისუფლების სახლი“ და „რეპორტიორები საზღვრებს მიღმა“, საქართველოს კლასიფიცირებას „ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების“ სიაში ახდენენ, 2011 წლის საანგარიშო მოხსენებაში მას 105-ე ადგილი მიუჩინეს (2010 წ. – მე-100, 2009 – წ. 81-ე). ნაკლებად სახარბიელო პოზიცია გამოწვეული იყო როგორც ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლით, ასევე 2011 წლის 26 მაისის მანიფესტაციის დარბევით.

ოცნება სანიტარულ დახმარებაზე, რომ იგი მხოლოდ მცირეთა პრივილეგია არ გახდეს, რომ სამშობიარო სახლების მომსახურება ადექვატური იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. ამ ბოლო წლებში აგებული საავადმყოფოები ლამაზად იქნა აღჭურვილი, მაგრამ ხელმისაწვდომია კი იგი ყველასთვის?

ოცნება ნორმალურ პენსიაზე, ამჟამად არსებული იმასაც კი არ უთანაბრდება, რაც უნდა დაიხარჯოს საწვავში, თბილისიდან ბათუმამდე მანქანით მგზავრობისას; რატომ უნდა ღირდეს ბენზინი, ან გაზი ასე ძვირი?

ანტიკური ტრადიციის მიხედვით, ქრისტიანულ საკრებულოებში, აღდგომის დროს, წმიდა ლიტურგიაზე, მხოლოდ და მხოლოდ ახალი აღთქმიდან იკითხება ნაწყვეტები, განსაკუთრებით მოციქულთა საქმეების წიგნიდან, იოანეს გამოცხადებიდან, მოციქულთა წერილებიდან; ცხადია, არა ძველი აღთქმის დამცირების მიზნით, არამედ იმის განცხადებით, რომ *ძველი აღთქმის* „ოცნება“, ან „ოცნებები“ ახდა იესო ქრისტეში; რომ ის, რაც იესომ იქადაგა და გააკეთა, სრულიად ჭეშმარტი იყო. ქრისტიანული ეკლესიები თავიანთი არსებობით უნდა ამოწმებდნენ, რომ იესოს ცხოვრება, სიტყვა, სიკვდილი, აღდგომა, სულიწმიდის მადლი, რწმენა ღვთის მამობისა, მათი ოცნებების არსებითი ნაწილია. უნებურად გვიჩნდება კითხვა: ნამდვილად ასეთი ოცნებები აქვთ როგორც უმრავლესობის, ასევე საქართველოში მოქმედი სხვა ეკლესიების წარმომადგენელ მორწმუნე ქრისტიანებს?

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

წმიდა მამის იუბილე

„ჩემი ცხოვრებისეული გზის ბოლო ეტაპზე ვარ და მაინც არ ვიცი, წინ რა მელის. მაგრამ ვიცი, რომ არის ნათელი ღმრთისა, რომ უფალი აღდგა მკვდრეთით და მისმა ნათელმა სძლია ბნელს, მისმა სიკეთემ კი – მთელი სამყაროს ბოროტებას. იგი მეხმარება, რომ უშიშრად ვიარო წინ, ყველას გვეხმარება. და მე მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც თავისი რწმენის ძალით ღმრთის პასუხის გაგებაში მეხმარება“.

16 აპრილს წმიდა მამას 85 წელი შეუსრულდა. როგორც აღნიშნა იუბილარის ძმამ, გეორგ რაცინგერმა, პონტიფექსმა თავის დაბადების დღეს მხოლოდ „ცოტაოდენი სიმშვიდე და ჯანმრთელობა“ ისურვა. სიმშვიდე ბენედიქტე XVI-სთვის მიუწვდომელი ფუფუნება აღმოჩნდა, რადგან ძალზე ბევრ ადამიანს სურდა, პირადად მიელოცა მისთვის დაბადების დღე. დატვირთული სამუშაო დღე კი 85 წლის პაპისთვის სრულებით არ წარმოადგენს პრობლემას. წმიდა საყდრის პრეს-მდივნის, ფედერიკო ლომბარდის განცხადებით, ამაში მას ჯანმრთელობაც უწყობს ხელს და სიმხნევეც.

როგორც აღნიშნა პაპის პირადმა მდივანმა გეორგ გენსვაინმა, ეს დღე მან „ჩვეულ სამუშაო რეჟიმში“ გაატარა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბევრი სტუმარი ეწვია სამშობლოდან, მათ შორის, გერმანიის ეპისკოპოსთა კონფერენციის მეთაური, რობერტ ცოლიჩი და ბავარიის პრემიერ-მინისტრი ჰორსტ ზეეჰოფერი.

19 აპრილს კი შვიდი წელი შესრულდა ბენედიქტე XVI-ის აღსაყდრებიდან.

„ჩემი მოსაყდრეობა იმისთვის კი არ არის, რომ ჩემი ნება-სურვილისამებრ ვიმოქმედო, არამედ იმისთვის, რომ სრულიად ეკლესიასთან ერთად ვისმინო ღმრთის ხმა, მისი ნება გავიგო. ილოცეთ ჩემთვის, რათა კიდევ უფრო განვმტკიცდე ღმრთის სიყვარულში; ილოცეთ ჩემთვის, რათა იმატოს ჩემმა სიყვარულმა მისი სამწყსოს, წმიდა ეკლესიის მიმართ, კიდევ უფრო მიყვარდეთ თქვენ, – თითოეული თქვენთაგანი და ყველა ერთად; ილოცეთ ჩემთვის, რათა არ მძლიოს შიშმა“, – თქვა პაპმა თავისი მოსაყდრეობის პირველ წირვაზე, 2005 წლის 24 აპრილს.

ბრაზილიის ეპისკოპოსები ინდიელთა უფლებების დაცვას ითხოვენ

ბრაზილიის კათოლიკე იერარქებმა გაეროს ქვეყნის მკვიდრ ინდიელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის თხოვნით მიმართეს.

გაეროს მდივნის თანაშემწესთან, ვალერი ამოსთან შეხვედრისას, ინდიელთა დაცვის მისიონერული საბჭოს ადვოკატმა კიმბერლი კუპჩინსკიმ აღნიშნა, რომ გასული ათი წლის მანძილზე ინდიელთა მდგომარეობა ბრაზილიაში საგრძნობლად გაუარესდა. მიზეზები მრავლადაა: სნეულებები, გაჩეხილი ტყეები, ძალადობა. ინდიელთა სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად სამართალდამცავები ინდიელთა ტომების სამკვიდროთა ზუსტი საზღვრების არარსებობას ასახელებენ. ეპისკოპოს ერვინ კრავტლერის განცხადებით, „ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს ნამდვილი გენოციდია, რაც პოლიტიკოსთა დაუყოვნებლივ ჩარევას მოითხოვს“.

ვატიკანის არქივი 400 წლისაა

17-18 აპრილს ვატიკანში კიდევ ერთი იუბილე აღინიშნა, – ვატიკანის არქივების დაარსების 400 წლისთავი. ამ თარიღისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მსოფლიოს მკვლევრები და მეცნიერები მონაწილეობდნენ. ვატიკანის ბიბლიოთეკის დირექტორმა, კარდინალმა რაფაელ ფარინომ აღნიშნა, რომ შეხვედრის მიზანია, გააცნოს მეცნიერებს არქივის უკანასკნელი 30 წლის მუშაობის შედეგები და მიღწევები.

ქრისტიანთა დევნა სუდანში

სუდანისა და სამხრეთ სუდანის სისხლიანი დაპირისპირება ჰეგლიგის ნავთობისთვის, შესაძლოა, მასშტაბურ ომში გადაიზარდოს. საერთაშორისო საზოგადოებრიობა ისევ და ისევ მოუწოდებს მხარეებს, შეაჩერონ ძალადობა. გაეროს გენერალურმა მდივანმა, პან გი მუნმა ხართუმსა და ჯუბას მოსთხოვა, შეაჩერონ სისხლისღვრა: „ომი მხოლოდ მეტ ტანჯვას მოუტანს სუდანისა და სამხრეთ სუდანის მკვიდრთ. ჩვენ გვჭირდება ძლიერი პოლიტიკური ნება, რათა დავძლიოთ კრიზისი“, – განაცხადა მან.

ბუნებრივია, კონფლიქტი საზღვრისპირა რეგიონის ქრისტიანებსაც შეეხო. თუმცა თავდასხმები სუდანის ქრისტიანებზე მიზანმიმართულადაც ხორციელდება. 22 აპრილის ღამეს, ხართუმში ცეცხლი წაუკიდეს კათოლიკურ ტაძარს. ამ ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე, შეიარაღებული ჯგუფი დაესხა ხართუმის პრესვიტერიანულ სასწავლო ცენტრს. გაზეთმა Al-Sahafa გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ეს ინციდენტები კომპლექსური გეგმის ნაწილებად განიხილება და შემდგომი თავდასხმების ობიექტებად სკოლები და სტუდენტური ცენტრები სახელდება.

ამა წლის მარტში სუდანის მთავრობამ განაცხადა, რომ „პირები, რომელთა მშობლები დაიბადნენ სამხრეთ სუდანში, უკვე აღარ არიან სუდანის მოქალაქეები და ვალდებულნი არიან, ქვეყნის ტერიტორია 8 აპრილამდე დატოვონ“. ამ პირთა უმრავლესობა კი ქრისტიანია. გაზეთი Al-Sahafa

აღნიშნავს, რომ ხანგრძლივი სამოქალაქო დაპირისპირების დროს სუდანში გახიზნული ქრისტიანებისა და ანიმისტების უმრავლესობამ უკვე დატოვა სუდანი, თუმცა ათასობით ადამიანი ჯერ კიდევ რჩება ქვეყნის ტერიტორიაზე და მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფება.

ფრანც ბეკენბაუერი: პაპთან შეხვედრამ ჩემი ცხოვრება შეცვალა

ლეგენდარულმა ფეხბურთელმა L'osservatore Romano-ს მკითხველებს ბენედიქტე XVI-სთან შეხვედრის შთაბეჭდილებები გაუზიარა. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებისას, ბეკენბაუერი, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომს ესტუმრა და პაპის საერთო აუდიენციას დაესწრო. თავისი სიტყვის დასასრულს, პაპი ჩემპიონატის ორგანიზატორებს მიესალმა. „უცებ ხელი გამომიწოდა. ძნელია, სიტყვებით გადმოსცე ეს ატმოსფერო. გულის სიღრმემდე შემძრა ამ ადამიანის სიმშვიდემ, ღირსებამ და გულითადობამ. ცხოვრების მანძილზე ბევრ ცნობილ ადამიანს შევხვედრივარ, მაგრამ ეს შეხვედრა განსაკუთრებული იყო, რაღაც შეცვალა ჩემს ცხოვრებაში. უფრო ხშირად დავიწყე ეკლესიაში სიარული. გერმანიაში ვიზიტისას, ყველა თავის სიტყვაში პაპი მოუწოდებდა მორწმუნეებს, თავიანთი რწმენის მოწმენი ყოფილიყვნენ. მისი ყველა სიტყვა წავიკითხე და მთელი გულით მივიღე“.

მანიფესტაცია რელიგიის თავისუფლებისთვის

23 მარტს აშშ-ს 120 ქალაქში ამერიკის კათოლიკეები და სხვა კონფესიების წარმომადგენლები რელიგიის თავისუფლების დასაცავად გამოვიდნენ. მანიფესტანტებმა მოუწოდეს პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციას, გააუქმონ ის კანონები, რომლებიც აიძულებენ რელიგიურ ინსტიტუტებს, სინდისისა და ზნეობრივი პრინციპების წინააღმდეგ იმოქმედონ.

ახალი კანონები აშშ-ს კათოლიკურ სამკურნალო დაწესებულებებს ავალდებულებენ, გაავრცელონ კონტრაცეფციის საშუალებები, უარი არ თქვან აბორტებისა და სტერილიზაციის ჩატარებაზე.

ეს ნორმები მიუღებელია არა მხოლოდ კათოლიკეთათვის, ამიტომ მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ სხვა ეკლესიათა და რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც.

„ამერიკის კათოლიკეებმა უნდა დაიცვან რელიგიის თავისუფლება ყველგან, როგორც თავიანთ ქვეყანაში, ასევე მთელ მსოფლიოში. დასავლეთის ქვეყნებში არ აღინიშნება ქრისტიანთა დაუფარავი დევნა ან შევიწროება, მაგრამ ქრისტიანობის მარგინალიზაცია და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დევნის დასაწყისად იქცეს. რელიგიის თავისუფლება კი ქადაგებასა და რწმენის მოწმობას, ასევე რელიგიურ შეხედულებათა თანახმად მოქმედებას გულისხმობს“, – აღნიშნა ვაშინგტონში, გაეროში წმიდა საყდრის მუდმივმა დამკვირვებელმა, მთავარეპისკოპოსმა ფრენსის ჩულიკატმა.

The Wall Street Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აშშ-ს ეპისკოპოსთა კონფერენციის მეთაური, კარდინალი ტიმოთი დოლანი აღნიშნავს, რომ ხსენებული ნორმები არ გავრცელდება იმ კათოლიკურ დაწესებულებებზე, რომლებიც მხოლოდ თავიანთი კონფესიის წარმომადგენლებს ემსახურებიან. „ეს კათოლიკურ დაწესებულებათა დისკრიმინაციაა. ჩვენ ვემსახურებით ადამიანებს არა იმიტომ, რომ ისინი კათოლიკეები არიან, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ კათოლიკეები და ეს ჩვენი ზნეობრივი ვალია“, – განაცხადა იერარქმა.

კუბელებმა დიდი პარასკევი აღნიშნეს

რომის პაპის ვიზიტმა კუბელებისათვის ხილული შედეგი გამოიღო: წელს დიდი პარასკევი კუბაზე ოფიციალურად აღინიშნა. მთავრობის განცხადებაში, დღესასწაულისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების შესახებ, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ეს გადაწყვეტილება პონტიფექსის ვიზიტს უკავშირდება. თუმცა ჯერჯერობით გაუგებარია, შეუნარჩუნდება თუ არა ეს სტატუსი დღესასწაულს შემდგომშიც.

შეგახსენებთ, რომ ბენედიქტე XVI კუბას ამა წლის 26-28 მარტს სტუმრობდა. მანამადე, 23-25 მარტს გაიმართა წმიდა მამის ვიზიტი მექსიკაში.

რამდენიმე დღის წინ, აშშ-ს კათოლიკე იერარქებმა ქვეყნის მთავრობას კუბასთან დიპლომატიურ ურთიერთობათა აღდგენასა და ემბარგოს მოხსნისკენ მოუწოდეს. მათი აზრით, ეს ხელს შეუწყობს კუბაზე ადამიანის უფლებათა და რელიგიური თავისუფლების დაცვას. ეპისკოპოსებმა აღნიშნეს ის დადებითი შედეგები, რომლებიც პაპის ვიზიტს მოჰყვა და ხაზი გაუსვეს იმას, თუ რამდენად ეფექტურია შეხვედრებისა და დიალოგის პოლიტიკა.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული თბილისში

წელს აღდგომის დღესასწაული გრიგორის კალენდრის (ახალი სტილი) მიხედვით ერთი კვირით წინ უსწრებდა იულიუსის კალენდარს, მაგრამ ამით ამ დღესასწაულს არაფერი მოჰკლებია, პირიქით, შერეულ ოჯახებში მორწმუნეებს საშუალება მიეცათ, ორჯერ ეზეიმათ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა. საქართველოში ხომ ისედაც ყოველ დღესასწაულს, როგორც წესი, ორ-ორჯერ აღნიშნავენ და არც ეს მთავარი დღესასწაული გახლდათ გამონაკლისი. წელს ახალი სტილით აღდგომის დღესასწაული, კათოლიკე ეკლესიასთან ერთად, სომხურ-სამოციქულო და რამდენიმე პროტესტანტულმა ეკლესიამაც აღნიშნა.

სააღდგომო მსახურებაზე თბილისის კათედრალს ესტუმრნენ თბილისის მერი გიგი უგულავა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თამარ კინწურაშვილი. სტუმრები დაესწრნენ წმინდა ცეცხლის კურთხევის რიტუალს. სააღდგომო ცეცხლთან ერთად იკურთხა და დაინთო სააღდგომო კელაპტარი, შემდგომ ეპისკოპოსი და სასულიერო დასი გალობით შევიდნენ ჩაბნელებულ ტაძარში. სააღდგომო კელაპტრიდან დაინთო სანთლები და გაბრწყინდა ტაძარი. ეს რიტუალი სიმბოლურად განასახიერებს ქრისტეს ნათელით გაბრწყინებულ სამყაროს. შემდგომი ნიშანი სააღდგომო ლიტურგიისა გახლდათ წყლის კურთხევა, ნათლობის საიდუმლოს განახლება, რაც წინ უძღვის სადღესასწაულო სიტყვის ლიტურგიას.

წმინდა წირვის წინ, მანამ, სანამ სიტყვის ლიტურგია დაიწყებოდა, მეუფე ჯუზეპემ საპატიო სტუმრები, თბილისის მერი გიგი უგულავა და სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე მიიწვია ამბიონზე სააღდგომო მილოცვისათვის.

გიგი უგულავა: *დღეს მთელი კათოლიკური სამყარო, და არა მარტო კათოლიკური, აღნიშნავს ყველა ქრისტიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დღესასწაულს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას. მინდა, ყველა ადამიანს, ყველა თანამოქალაქეს, ვინც დღეს აღნიშნავს აღდგომას, ყველა კათოლიკეს, ყველა თბილისელს მივულოცო აღდგომა, ბედნიერება და წარმატება ვუსურვო მათ. ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ საიდუმლოს კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის ყველაზე მთავარი საიდუმლო, ეს არის ის დღესასწაული, რომელიც აერთიანებს ყველა ქრისტიანს.*

გიორგი ბარამიძე: *ჩვენი ქვეყანა მრავალეთნიკური, მრავალრელიგიურია, ამით ვართ ჩვენ ძლიერები. დღეს კათოლიკეები ზეიმობენ ქრისტეს აღდგომას, ჩვენ ვულოცავთ მათ – ჩვენს ძმებს, ჩვენს თანამემამულეებს და ვუსურვებთ ყველას ერთობლივი ლოცვით ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას, წინსვლას, კეთილდღეობას.*

მართალია, გასული წლებისგან განსხვავებით, ქვეყნის პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს პირადად ვერ დაესწრო თბილისის კათოლიკურ კათედრალში, მაგრამ მან პოპულარული სოციალური ქსელის – Fecebook-ის მეშვეობით აღდგომა მიულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკეებს:

„მსურს, მთავრობის სახელით, ეს უდიდესი დღესასწაული მივულოცო კათოლიკე მრევლს ჩვენს ქვეყანაში.

არ შევუდგები იმ უდიდესი ქართველი და არა მარტო ქართველი კათოლიკეების სახელობით ჩამოთვლას, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მრევლი ისტორიულად იყო და დღესაც არის ჩვენი ქვეყნის ევროპული არჩევანის ერთგული საყრდენი, საქართველოში ევროპული ცოდნისა და გამოცდილების პოპულარიზატორი.

მინდა, გისურვოთ მშვიდობა, კეთილდღეობა და წარმატებები“.

პატივისცემით, მიხეილ სააკაშვილი
საქართველოს პრეზიდენტი
8 აპრილი, 2012.

საზეიმო მსახურება კვირა დღესაც აღესრულა ქართულ, ინგლისურ, ლათინურ ენებზე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ორივე ტაძრის წინამძღვრები მამა ადამი და მამა ანჟი ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებიან პოლონეთში, ეპისკოპოსისა და წმ. კამილოს ორდენის მღვდელმსახურების წყალობით, არც აღსარების ჩაბარების, ან სხვა ორგანიზაციული საკითხების გამო შეფერხება არ ყოფილა. მღვდელმსახურებს გვერდში ედგნენ სამრევლო საბჭოს წევრები, კატეხისტები და მოხალისეები. წირვის შემდგომ, თბილისის ორივე ტაძარში, სამრევლო საბჭოების თაოსნობით, მრევლისათვის ტრაპეზიც მომზადდა და სომფონიური მუსიკის კონცერტიც ჩატარდა.

P.S. რატომღაც არც ერთ ოპოზიციურ გაერთიანებას არ გახსენებია, აღდგომის დღესასწაული მიელოცა საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, ვინც ახალი სტილით აღნიშნავს ამ უმთავრეს დღესასწაულს, არადა ქვეყნის მოსახლეობის (4 მილიონი) ეს ნაწილი არცთუ ისე მცირერიცხოვანია (330 ათასი). მოქალაქეთა ეს სოლიდური ნაწილი იხდის გადასახადებს, იღვწის ქვეყნის სამსახურში, მათ შორის, სამხედრო ძალებში, მაგრამ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსებისათვის, როგორც ჩანს, ისინი მოსახლეობის მეორეხარისხოვან ნაწილად განიხილებიან. ქვეყნის ისტორიას თუ გავისხენებთ, ეს ნაწილი, ინტელექტუალური, ფინანსურ-ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით, ფრიად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა და უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი კულტურის საგანძურში. უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე კი სწორედ ამ „ქრისტიანულ უმცირესობებად“ წოდებულ ეკლესიებზე მოდის ქვეყანაში განხორციელებული ჰუმანიტარული დახმარების უდიდესი ნაწილი. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სომხური სამოციქულო ეკლესია, რომელიც მსოფლიოში და სომხეთშიც დიდი ხანია, რაც ახალ სტილზე არის გადასული, საქართველოში, ასევე, რუსეთში და აზერბაიჯანის ეპარქიებშიც, მართლმადიდებლებთან სოლიდარობის მიზნით, ძველ, იულიუსის სტილს იყენებდა. მიმდინარე წელს სომხური ეკლესიის ეპარქია საქართველოში ახალ სტილზე გადავიდა. მან ამ ფაქტით აჩვენა, რომ მისი მრევლი საქართველოში ევროპულ ორიენტირებს გაუსწორდა და აშკარად დაუპირისპირდა რუსულ გავლენას.

წმინდა წერილის საკითხავების შემდგომ, მეუფე ჯუზეპემ ქადაგებით მიმართა მრევლს. ეპისკოპოსმა ხაზი გაუსვა მაცხოვრის აღდგომის მნიშვნელობას და აღნიშნა: ადამიანის ხსნა და სიკვდილის დაძლევა, მარადიული ცხოვრება და ნეტარება წარმოუდგენელი იქნებოდა იესო ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის გარეშე.

ორი ათასი წელია, ადამიანები იმედით, რწმენითა და სიყვარულით ეგებებიან აღდგომის დღესასწაულს.

ნუგზარ ბარდაველიძე

ქრისტე აღდგა!

„ქრისტე აღდგა მკვდრეთით,
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი,
და საფლავების შინათა
ცხოვრების მიმნიჭებელი.“

ამ საგალობლით დაიწყო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ამა წლის 8 აპრილს ქ. თბილისის წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა კათოლიკურ ეკლესიაში.

წირვის დასაწყისს, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ გვახარა: ქრისტე აღდგა! აი, ორი სიტყვა, რომლის გაგონებაც სასოწარკვეთილ ადამიანსაც იმედს აღუძრავს, სიხარულის ნათელს მოჰფენს. რწმენა გვაახლოვებს ღმერთთან.

შემდეგ წირვას წარუძღვა მამა იეჟი პილუსი. მან თქვა, რომ იესოს მკვდრეთით აღდგომა არის სასწაული, რომელიც უნდა იწამო. ასე რომ არ ყოფილიყო, უაზრო იქნებოდა ჩვენი შეკრება ეკლესიაში, ქრისტიანული მოძღვრება და ქრისტიანობის ისტორია. სახარება მოგვითხრობს, რომ იესოს აღდგომის პირველი მოწმენი მაშინვე გამოჩნდნენ. როდესაც მარიამ მაგდალელი სხვა ქალებთან ერთად მივიდა კლდეში გამოკვეთილ სამარხთან, სადაც ესვენა მაცხოვარი, შესასვლელთან ქვა გადაგორებული დახვდა. შიგნით შესულებმა, აღმოაჩინეს, რომ საფლავი ცარიელი იყო. ქალებმა იფიქრეს, რომ იესოს გვამი ვიღაცამ მოიპარა. ამიტომ მოციქულ პეტრესა და იოანეს ამცნეს მომხდარი. ისინი უმალ გაემართნენ სამარხისაკენ. ახალგაზრდა იოანე, როგორც სიმბოლო სიყვარულისა, სწრაფად მივიდა სამარხთან, ვინაიდან პირველად სიყვარული ეგებება ღმერთს. მას პეტრე მიჰყვა, დინჯი, მოაზროვნე, სიმბოლო გონიერებისა. მათ დაინახეს ცარიელი, გაუხსნელი და დაუზიანებელი ტილოები, რომელშიც იესო იყო გახვეული სამარხში დასვენებისას. ნახეს და იწამეს. ეს იყო პირველი მტკიცებულება იესოს აღდგომისა.

აღდგომის მეორე მტკიცებულება არის მაცხოვრის სუდარა. ტილოზე აღბეჭდილ გამოსახულებაზე ნათლად ჩანს ქრისტეს წამებისა და სიკვდილის კვალი. სუდარის ქსოვილის გამოკვლევის შედეგები უტყუარს ხდის ქრისტეს აღდგომის ფაქტს. ეს რწმენის გაღრმავების კიდევ ერთი მიზეზია.

ქრისტეს აღდგომის უწყება ქრისტიანთათვის ნიშნავს რწმენის განმტკიცებას, სამშვიდობო სიტყვების წარმოთქმას: „ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!“

იესოს მკვდრეთით აღდგომა მადლია იმისთვის, ვინც იღებს მას რწმენის მეშვეობით.

შემდეგ მამა იეჟიმ თქვა, რომ ბევრი ჩვენგანი ისეთ ასაკში მოინათლა, როდესაც ამ მოვლენის გაცნობიერება არ შეგვეძლო. ამიტომ საჭიროა განვაახლოთ ნათლობის აღთქმა გააზრებულად. შეკრებილებმა აღასრულეს ეს საიდუმლო.

ქრისტეს აღდგომას თითქოს ბუნებაც ზეიმობდა. მზე მხიარულად ანათებდა, ხეები თეთრი და ვარდისფერი ყვავილებით გადაპენტილიყო. ყველაფერი ეს სადღესასწაულო განწყობას უნარჩუნებდა ხალხს მთელი დღის განმავლობაში.

მანანა გიქოშვილი

აღდგომის დღესასწაული ვალეს საჯრებულოში

ქრისტე აღდგა!

ყველას გილოცავთ უფლის ბრწყინვალე აღდგომას და აქვე აღვნიშნავ, რომ უფლის აღდგომაზე დიდი დღესასწაული არ არსებობს მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

აღდგომის დღესასწაულისთვის სამზადისი ადრიდანვე დაიწყო ჩვენმა საკრებულომ, კერძოდ, 22 თებერვლიდან – ნაცრისყრის ოთხშაბათიდან, დიდმარხვის დადგომისთანავე.

მამა ზურაბი, დიდმარხვაში, წმიდა წირვის დროს, ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მარხვის დროს მნიშვნელოვანია სამი რამ: **მარხვა, ლოცვა** და **გულმოწყალება**. მართლაც, მრევლის უმეტესი ნაწილი მარხულობდა, ლოცულობდა და ცდილობდა, გულმოწყალე ყოფილიყო მოყვასის მიმართ. მრავალმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა აღსარების საიდუმლოში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „ვნების კვირის“ მძიმე დღეები – სამდღეული.

მამა ზურაბმა დიდ ხუთშაბათს, საღამოს 19 სთ-ზე აღავლინა წმიდა წირვა და აღასრულა ფეხთბანვის რიტუალი. ეს დღე იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იყო დღე მიტევებისა. მამა ზურაბმა, ქადაგების დროს, მრევლის წინაშე პატიება ითხოვა, ამით მან მაგალითი გვიჩვენა, რომ ჩვენც გვეთხოვა ერთმანეთისათვის პატიება და მიგვეტევებინა წყენა. ამ დღეს ჩვენი საკრებულოს თერთმეტმა წევრმა მიიღო პირველი ზიარება.

წლის ყველაზე მძიმე დღეს – წითელ პარასკევს აღესრულა ვნების ლიტურგია: იყო საკითხავები წმიდა წერილებიდან, ქადაგება, დასასრულს კი მაცხოვრის წმიდა ჯვრის თაყვანისცემა და ზიარება. ბოლოს იესო დასვენებულ იქნა „სამარხში“, რომელიც იმიტაცია იყო ნამდვილი სამარხისა. ყოველივე ამან მრევლში ისეთი განცდა დაბადა, თითქოს ამ დღეს გააკრეს მაცხოვარი ჯვარზე და თავად ესწრებოდნენ მის ჯვარცმას. დასასრულს, მათ გულდამძიმებულებმა დატოვეს ტაძარი.

შაბათი – მოლოდინი უფლის ბრწყინვალე აღდგომისა. 16-დან 18 სთ-მდე შესაძლებელი იყო აღსარების თქმა. ბევრმა ადამიანმა ჩააბარა მოძღვარს აღსარება და ყველა მოუთმენლად ელოდა დაღამებას.

ახალგაზრდებმა ეკლესია საზეიმოდ მორთეს. ამდენი ლოდინის შემდეგ, დადგა ნანატრი წუთებიც. ბნელით მოცულ ეკლესიაში, რამდენიმე წუთით ჩავფიქრდით ჩვენს ცოდვილ ცხოვრებაზე და გულში ვინანიებდით ცოდვებს. მამა ზურაბმა აკურთხა ცეცხლი; შემდეგ მღვდლები და მინისტრანტები გაემართნენ ეკლესიისკენ. სააღდგომო კელაპტრიდან ყველამ ავანთეთ სანთლები და დაიწყო საპასექო ცისკარი.

ქრისტე აღდგა! – გვახარეს ეს დიდი უწყება მამა ზურაბმა და მამა მიროსლავმა. ამ წუთებმა მრევლს სიხარული და ბედნიერება მიანიჭა.

მამა ზურაბმა, სახარების საკითხავის შემდეგ, ქადაგების დაწყებაც კი ვერ მოასწრო, რომ ახალგაზრდებმა ერთი ეპიზოდი წარმოადგინეს სახარებიდან: ქალებს, რომლებიც სამარხთან მივიდნენ, რათა უფლისთვის ზეთი ეცხოთ, ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა მათ, რომ უფალი აღდგა, რამაც ქალები გააკვირვა და გაახარა. ამ სცენამ, რომელიც მამა ზურაბისთვისაც მოულოდნელი იყო, იგი ძალიან გაახარა.

აღსანიშნავია ისიც, რომ წმიდა წირვაზე ოთხი ახალგაზრდა მოინათლა.

სააღდგომო ღამისთევის დამთავრების შემდეგ, ხალხი მიდიოდა „ცარიელი სამარხის“ სანახავად, რათა დარწმუნებულიყო, რომ უფალი ნამდვილად აღდგა.

ეს ღამე ყველასთვის დაუვიწყარი იყო იმით, რომ მათ გულებში სუფევდა საზეიმო და სასიხარულო განწყობა.

ეკა ხითარიშვილი

წმიდა წირვა სმოლენსკის ტრაგედიის მსხვერპლთა მოსახსენებლად

10 აპრილს, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში ვატიკანის დესპანმა საქართველოში, მთავარეპისკოპოსმა მარეკ სოლჩინსკიმ წმ. წირვა აღავლინა, ორი წლის წინ სმოლენსკთან ტრაგიკულად დაღუპული პოლონეთის პრეზიდენტისა და სამთავრობო დელეგაციის წევრების სულის მოსახსენიებლად.

2010 წლის 10 აპრილს სამთავრობო თვითმფრინავმა, რომელშიც პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, მისი მეუღლე მარია კაჩინსკა, პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლები, სასულიერო პირები, მათ შორის, სამი ეპისკოპოსი (პოლონეთის კათოლიკური და ლუთერული ეკლესიებიდან), მაღალი წოდების სამხედრო ოფიცრები და მეორე მსოფლიო ომის დროს კატინში საბჭოთა რეჟიმის მიერ დახვრეტილი პოლონელ სამხედრო ტყვეთა ახლობლები იმყოფებოდნენ, სმოლენსკთან დაშვებისას კატასტროფა განიცადა. დელეგაციისა და ეკიპაჟის წევრები, ოთხმოცდაათამდე ადამიანი ადგილზევე დაიღუპა. ოფიციალური ვერსიით, ავიაკატასტროფის მიზეზად მფრინავის შეცდომა დასახელდა, თუმცა საზოგადოებაში გავრცელებულია ვერსია, რომ პოლონეთის სამთავრობო თვითმფრინავის კატასტროფას შეიძლება სხვა მიზეზიც ჰქონოდა.

პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის კეთილგაწყობა საქართველოსადმი საქვეყნოდ ცნობილი იყო. იგი მეუღლესთან ერთად რამდენჯერმე იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ პოლონეთის პრეზიდენტის მხარდაჭერა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის დროს, როდესაც ლეხ კაჩინსკი, სხვა ოთხ პრეზიდენტთან ერთად, ჩამოფრინდა თბილისში და პარლამენტის წინ გამართულ აქციაში მონაწილეობით სოლიდარობა გამოუცხადა ჩვენს ქვეყანას.

საქართველოში არაერთი ვიზიტის დროს, პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი სტუმრობდა თბილისის კათოლიკურ კათედრალს და მონაწილეობდა წმინდა წირვებში. ლეხ კაჩინსკისა და მარია კაჩინსკას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს პრეზიდენტთან და პირველ ლედისთან. ქვეყნის პირველ პირებს შორის კეთილმეგობრული ურთიერთობა კი, როგორც წესი, აისახება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზეც. პოლონეთი აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ სივრცეში.

პოლონელი და ქართველი ხალხის მეგობრობას საკმაოდ ხანგრძლივი ფესვები აქვს, XIX საუკუნეში რუსეთის ცარიზმის მიერ გაუქმებულ იქნა პოლონეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ცინიზმით აღსავსე ოფოციალური ვერსიით, თურმე ამ ორი ქვეყნის თავისუფლებისმოყვარე ხალხმა „მშვიდობიანად ისურვა“ რუსეთის იმპერიაში გაერთიანება. 1830 წელს, ვარშავის აჯანყების ჩახშობის შემდგომ, რამდენიმე ათასი პოლონელი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ჩამოასახლეს და ქართველებმაც გულღიად მიიღეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლონელები.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ 1832 წლის ანტირუსული შეთქმულების მონაწილე ქართველ მამულიშვილებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ ვარშავის აჯანყების მონაწილეებთან. ასე რომ XIX საუკუნიდან საქართველოს ისტორიაში თავისი კვალი პოლონელებმაც დატოვეს. პოლონელთა გადმოსახლების შემდგომ, თბილისის კათოლიკური მრევლი მრავალრიცხოვანი გახდა. 1870 წელს თბილისში წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის აგებაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ პოლონელმა კათოლიკეებმა შეიტანეს. მთელი კავკასიის მასშტაბით უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ამ ტაძარს 1999 წლის 8 ნოემბერს ესტუმრა რომის პაპი ნეტარი იოანე-პავლე II.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ, მრავალმა ქართველმა ჰპოვა თავშესაფარი პოლონეთში, მათ შორის, არქიმანდრიტმა წმინდა გრიგოლ ფერაძემ, რომელსაც დიდ პატივს მიაგებს პოლონელი ერი. ამ რამდენიმე წლის წინ, გრიგოლ ფერაძის სახელზე ვარშავაში ქართული მართლმადიდებლური ტაძარიც იქნა აგებული, რომელიც ორი ერის მეგობრობის ისტორიის თავისებურ ძეგლს წარმოადგენს.

სმოლენსკთან მომხდარი ავიაკატასტროფის მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი მსახურება წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში გასულ წლებშიც ტარდებოდა და მასში, პოლონელ მრევლთან ერთად, თბილისის საზოგადოების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მთავარეპისკოპოსმა მარეკ სოლჩინსკიმ თავის ქადაგებაში ისაუბრა ქრისტიანული სიყვარულის ძალასა და მნიშვნელობაზე, რომ მხოლოდ სიყვარულს ძალუძს სიკვდილის დაძლევა და სიცოცხლის გამარჯვება. წირვაში საქართველოში პოლონეთის საელჩოსა და სხვადასხვა წარმომადგენლობის თანამშრომლებთან, პოლონური სათვისტომოს წარმომადგენლებთან ერთად, მრავალი თბილისელი იღებდა მონაწილეობას. თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმ ადამიანებისა, ვინც პატივს სცემს და აფასებს პოლონეთთან მეგობრობას და ვისაც ნამდვილად დასწყვიტა გული სმოლენსკის თავზე დატრიალებულმა ტრაგედიამ.

წმ. წირვას დაესწრო საქართველოს პირველი ლედი ქალბატონი სანდრა რულოვსი და ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლე, მსოფლიო პრიმადონა, ქალბატონი ნინო ანანიაშვილი. როგორც აღვნიშნეთ, ქალბატონ სანდრა რულოვსს ახლო მეგობრობა აკავშირებდა მარია კაჩინსკასთან. მან, თავისი ოჯახის სახელით, მიუსამძიმრა საქართველოში პოლონეთის ელჩს ქალბატონ ურსულა დოროჟევსკას და ტაძარში შეკრებილ პოლონელ მრევლს სმოლენსკის ტრაგედიის დროს დაღუპულთა გამო. თავის მხრივ, პოლონეთის ელჩმა და ნუნციუსმა მადლობა მოახსენეს საქართველოს პირველ ლედის პოლონელი ხალხის მწუხარების გაზიარებისა და თანადგომისათვის.

ნუგზარ ბარდაველიძე

ოჯახი ჩვენთვის პრიორიტეტული ზრუნვის სფეროა. საკრებულოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რელიგიური აღმსარებლობის მხრივ შერეულ ოჯახებს, რადგან მათ სხვადასხვა მოვალეობები გააჩნიათ. ისინი ყურადღების ცენტრში იმყოფებიან და, ხშირ შემთხვევაში, ერთგვარ ხიდს წარმოადგენენ კათოლიკე და მართლმადიდებელ მორწმუნეთა შორის.

გორის საკრებულო ამ მხრივ მართლაც რომ გამორჩეულია, ამიტომ შერეული ოჯახის ყოფა-ცხოვრებაზე, დასაფიქრებელ თუ გადასაწყვეტ პრობლემებზე სასაუბროდ წყვილი სწორედ აქედან ავირჩიეთ: **გიორგი (გოგა) საზანდრიშვილისა** და **ნანა ხუბულურის** ოჯახი.

ნინო ჟღენტი

ჩვენ, ოჯიჯე, ქრისტიანები ვართ

ბატონო გოგა, გვითხარით რამდენიმე სიტყვა პირადად თქვენს შესახებ.

თავადაც შერეულ ოჯახში დავიბადე, დედა კათოლიკეა, მამა და ძმა მართლმადიდებლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მეც მართლმადიდებელ ეკლესიაში მომნათლეს, რატომღაც უფრო დედის რწმენით ვიზრდებოდი, თბილისში იშვიათად ჩავდიოდით, მაგრამ წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაში ლოცვას მაინც ვახერხებდით. 2002 წლიდან კი გორის საკრებულოს წევრი ვარ და ზიარებას ვიღებ.

თქვენი არჩევანი მართლმადიდებელ ქალბატონ ნანას დაუკავშირეთ, ხომ არ ყოფილა რაიმე წინააღმდეგობა ოჯახების მხრიდან?

არა, არც ისეთ ასაკში დავქორწინებულვართ, პასუხისმგებლობა გაცნობიერებული რომ არ გვქონოდა და, ისედაც, ორივე ქრისტიანები ვართ.

რა დამოკიდებულება გაქვთ ბავშვების აღმსარებლობასთან დაკავშირებით, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს პირადად მათი გადასაწყვეტია?

ბავშვები პატარები იყვნენ, როცა მართლმადიდებლური წესით მოვნათლეთ. სინოდის წევრი ვარ და ნათლობის საკითხზე იქაც ბევრი მისაუბრია, მიმაჩნია, რომ ჩვენთან ნათლობა დროში არის გაწელილი, მართლმადიდებლები კი ნათლობისა და მირონცხების საიდუმლოს ერთდროულად აღასრულებენ, სწორედ ამიტომ გავაკეთეთ ასეთი არჩევანი. ნათლობა აუცილებელია, მერე კი თავად გადაწყვიტონ.

ყოფილა თუ არა თქვენს შორის სხვა აღმსარებლობაზე „გადაბირების მცდელობა“ და ვინ დომინირებს ოჯახში?

ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემთ და ამას არ ვიკადრებთ. ყველაფერს ურთიერთგაგებითა და პატივისცემით ვეკიდებით.

საზოგადოებაში, სამსახურში ხომ არ გზღუდავენ რწმენის გამო?

არა, თუ ჩემს რწმენას პატივს ვცემ, გაცნობიერებული მაქვს ყველაფერი ის, რაც გვაშორებს და გვაახლოებს, ვცდილობ შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას. პრობლემა არ იქმნება, მაგრამ შემხვედრიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავში ვერ გარკვეულან, არც რწმენაში არიან მტკიცენი, არც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გააჩნიათ და მაინც თავს სხვის ცხოვრებაში ჩარევის უფლებას აძლევენ. მე მინახავს, როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს მართლმადიდებლები, თუმც რწმენის საკითხში გასაყოფი არაფერი აქვთ. ასეთმა ადამიანებმა პრობლემა საკუთარ თავსა და რწმენის სისუსტეში უნდა ეძიონ. პირადად მე სამსახურში არც წითელ პარასკევს მიშლის ვინმე დასვენებას; ვფიქრობ, თუ ადამიანი გულით მოინდომებს, ყველაფერს შეძლებს.

ჩემს შვილთან დაკავშირებით გეტყვით, იგი სავარდს დღესაც ჩემთან ერთად ლოცულობს, ასე იყო უწინაც. სკოლაში ახალი შესული იყო ჩემი ზურიკელა, და როცა რელიგიის გაკვეთილზე პედაგოგმა სთხოვა, ლოცვა წარმოეთქვა, მან, სხვა ლოცვების შემდეგ, „ავე, მარია“ თქვა ლათინურად. პედაგოგის შეკითხვაზე, თუ საიდან იცოდა ეს ლოცვა, უპასუხა, რომ მამა კათოლიკე ჰყავს. მასწავლებელმა ინტერესი მოუწონა.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული ოჯახი გაქვთ, სხვადასხვა განსხვავებები (მაგ.: ლიტურგიული, კალენდრისა და სხვა) აღმსარებლობებს შორის ხომ არ უშლის ხელს თქვენი ოჯახის ერთიანობას?

პირიქით, ბავშვები „ორივე“ შობას (ძველი და ახალი სტილით) ელოდებიან საჩუქრებს, სხვა დღესასწაულებსაც ორჯერ ზეიმობენ. რაც შეეხება განსხვავებებს, ვცდილობთ, მათთვის გასაგები ენით ავუხსნათ, ასაკის გათვალისწინებით.

გაქვთ თუ არა მომავალში იმედი ერთიანობისა, და არის თუ არა ეს თქვენთვის მნიშვნელოვანი?

პასუხად ნეტარი პაპის, იოანე პავლე მეორის სიტყვებს გავიმეორებ: ქრისტიანობა ორი ფილტვით სუნთქავს: კათოლიკობით და მართლმადიდებლობით.

გმადლობთ ყურადღებისთვის, ბედნიერ დღეებს გისურვებთ!

ივანე გვარამაძე

(გარდაცვალებიდან 100 წლისთავი)



XIX საუკუნე მეტად მძიმე პერიოდი იყო სამცხე-ჯავახეთისათვის, ისტორიულად განვითარებულმა სარწმუნოებრივმა დაყოფამ მოსახლეობის ეროვნული დაქსაქსულობა განაპირობა. საუკუნის დასაწყისში მან მოიშორა თურქთა ბატონობის მძიმე უღელი, მაგრამ მეორე დიდი დამპყრობლის – რუსეთის იმპერიის ხელში აღმოჩნდა. მეფის რუსეთმა, რომელიც „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით ხელმძღვანელობდა, „გამაჰმადიანებულ ქართველს თათარი დაარქვა, მის მშობლიურ ენად თურქული აღიარა“, ხოლო ქართველი კათოლიკენი ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადა და 1886 წლის 27 თებერვლის ბრძანების საფუძველზე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის ქართველ კათოლიკეებს აეკრძალათ ქართული ენის ხმარება ლოცვებისა და ღვთისმსახურების დროს. ე.ი. ქართული ტიპიკონის უქონლობით მათ გადაგვარება-გასომხების საშიშროება შეექმნათ. რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმედეგ ხმა აღიმაღლა მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ. მათ მხარში ამოუდგნენ მესხი მოღვაწეები, „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილი განმანათლებელის, ივანე გვარამაძის წინამძღოლობით.

ივანე გვარამაძეს კარგად ესმოდა XIX საუკუნის დასასრულს სამცხე-ჯავახეთში შექმნილი მდგომარეობა. ამიტომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა და, როგორც ჭეშმარიტი მღვდელი, პირველ რიგში, ზრუნავდა მრევლისათვის რწმენის შენარჩუნებასა და მის სულიერ გაჯანსაღებაზე. იგი ამ ბრძოლაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული სიტყვის ძალას. მამულის, რწმენისა და ენის დაცვა მისი ცხოვრების აზრსა და მიზანს წარმოადგენდა.

ივანე პავლეს ძე გვარამაძე დაიბადა 1831 წლის 15 ოქტომბერს, სოფელ ვალეში, აწყურიდან გადასახლებული გლეხის, მესარქიშვილის ოჯახში. მამა-პაპეული ძველი გვარი, ისტორიულ მონაცემთა საფუძველზე, თვით ივანემ რამდენიმე წლის ბრძოლით აღადგინა – 1885 წელს. იოვანე ანტონოვი – სარატოვის სასულიერო სემინარიის რექტორი, მას ატყობინებდა: „შესახებ თქვენი გვარისა ისევ შეუდექით და ისე იხმარეთ როგორც გიხმარიათ უწინარესსა... შეუდექით ხმარებასა შვილებისთვისაც, სულ ეგ გვარი დააწერინე ხოლმე“.

ივანე გვარამაძის მამა – პავლე ახალციხის ფაშების სარიდარი (მზარეული) ყოფილა, „სცოდნია ფეიქრობა, ქურქჩობა და მეწვრიმლობაცა“. დედას, მარიამ ბაღდოშვილს „სოფელ ვალეში თავისი სასწავლებელი ჰქონია, სადაც სოფლის ახალგაზრდა ქალები დაიარებოდნენ, როგორც ქართველები, ისე მაჰმადიანები სასწავლებლად. როგორც წერა-კითხვის, ისე ჭრა-კერვისა და ქსოვა-ქარგვისა, რისთვისაც მასწავლებელ ქალს მარიამს დიდათ პატივს სცემდნენ ხოლმე საწუთრო სანოვაგეების და ძღვენებითა“. ივანეს ხუთი და ჰყოლია: „მე ერთი ვიყავ და ხუთი და მყავდაო“. მოძიებული მასალიდან ცნობილი გახდა, რომ ივანე გვარამაძის ორი და – ბარბარე და ელისაბედი (იგივე „ხანო“) ცხოვრობდნენ ვალეში.

ივანე გვარამაძეს ბავშვობაში მოფერებით „კონას“ ეძახდნენ. ოთხი წლის ივანე ადგილობრივ (ვალეს) მღვდელთან წერა-კითხვის სასწავლებლად საეკლესიო სასწავლებელში მიუბარებიათ. ხუთი წლისას სომხური სამოციქულო წაუკითხავს ზეპირად ნასწავლი წირვაზედ ეკლესიაში, შვიდი წლისას დაუწყია მხატვრობა და თორმეტი-ცამეტი წლისას მღვდლის ხელმძღვანელობით მოუხატავს ჯერ საბამის წმინდა გიორგის ეკლესიის კანკელი და შემდეგ მარელისის ეკლესია. 1849 წელს 18 წლის ივანე გვარამაძემ ქალაქ ახალციხეში იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში განაგრძო სწავლა არქიმანდრიტ პავლე შაჰყულიანის (ჭილიმუზაშვილის) ხელმძღვანელობით. 1854 წლიდან სწავლას აგრძელებს ქუთაისში პეტრე ხარისჭირაშვილთან. 1859 წელს გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, საიდანაც უსახსრობის გამო მალე მოუხდა სამშობლოში დაბრუნება. ერთხანს მუშაობდა თბილისში, ივანე კერესელიძესთან, სტამბაში. მაგრამ, კვლავ უსახსრობის მიზეზით, დაბრუნდა ქალაქ ახალციხეში. ამ პერიოდში გარდაეცვალა მშობლები (1857 წელს – მამა, 1861 წელს კი დედა). 1862 წელს გაემგზავრა ალექსანდროპოლში (დღევანდელ

ლენინაკანში) სწავლის გასაგრძელებლად. სამი წლის შემდეგ, სასწავლებლის დამთავრებიდან, მუშაობა დაიწყო იოანე ნათლისმცემლის სასწავლებელში საღმრთო ისტორიის მასწავლებლად. 1868 წლის 9 დეკემბერს, ქალაქ სარატოვში ვიჩენცო ლიპსკმა აკურთხა მღვდლად. 1869 წელს მიავლინეს სოფელ ხიზაბავრის კათოლიკურ ეკლესიაში ვიკარ-მღვდლად, წლების მანძილზე მოღვაწეობდა წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სასწავლებლის ქართული ენისა და კატეხიზმოს მასწავლებლად. სხვადასხვა დროს იყო ხიზაბავრის ეკლესიაში ზედამხედველი მღვდელი, მსახურობდა სოფელ ივლიტას ეკლესიაში.

> ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კიდევ არიან თითო-ოროლა თქვენისთანა პირნი, რომელნიც ხმამაღლა ღაღადებენ სიმართლეს... ამ დროს მარტო თქვენ გვყავხართ თითით საჩვენებელნი, როგორც სამაგალითო სამღვდელო პირი.
>
> **ვასილ გამრეკელი**

ივანე გვარამაძე სიცოცხლის მანძილზე მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა. კერძოდ, იგი იყო ხიზაბავრაში სკოლის გახსნის მოთავე. მას თავისი მოსაზრება – სკოლის გახსნის შესახებ – პირველად ზაქარია ჭიჭინაძისთვის გაუზიარებია, მისი რჩევით ივანე გვარამაძეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“ მიუმართავს დახმარებისათვის. ამ საზოგადოების ნივთიერი დახმარებითა და ივანე გვარამაძის დაუზოგავი შრომით, 1881 წლის 21 ნოემბერს სოფელ ხიზაბავრაში გაიხსნა სკოლა, სადაც 1882 წლიდან მასწავლებლად მუშაობდა თვით ივანე გვარამაძე.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ივანე გვარამაძეს განზრახული ჰქონდა ქალებისათვის ცალკე სკოლის გახსნა ხიზაბავრაში. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „1883 წელს დიდ სიხარულს მწერს, რომ იქნება ხიზაბავრაში ქალების სკოლაც გაგვეხსნას, რადგანაც ჩვენი სოფლის მასწავლებელი ცოლს ირთავს და გვპირდება, რომ ჩემი მეუღლე ქალებს მიიღებს სკოლაში და ასწავლისო“. მაგრამ მრავალი ხელისშემშლელი მიზეზის გამო, ივანე გვარამაძის ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

1991 წლის 21 ნოემბერს, სოფელ ხიზაბავრაში აღინიშნა ივანე გვარამაძის დაბადებიდან 160 და სკოლის დაარსებიდან 110 წლისთავი. საიუბილეო საღამოზე მიღებულ იქნა წინადადება, რომ ხიზაბავრის სკოლას მინიჭებოდა მისი დამაარსებლის – ივანე გვარამაძის სახელი. აღნიშნული წინადადება დღემდე არ განხორციელებულა.

ივანე გვარამაძემ XIX საუკუნის 80-იან წლებში, ქალაქ ახალციხეში, იოანე ნათლისმცემლის კათოლიკურ ეკლესიასთან დააარსა სამრევლო დაწყებითი სკოლა, სადაც ბავშვები მშობლიურ ენაზე ეზიარებოდნენ და ეწაფებოდნენ პატრიოტულ და მაღალზნეობრივ იდეებს. კ. გვარამაძის ცნობით, ივანე გვარამაძეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან აგრეთვე დაუარსებია ე.წ. „წმინდა სავარდის ძმობა“, რომლის დაფუძნების უშუალო მიზანი მოხსენიებული სკოლის შენახვა ყოფილა. იგი აგრეთვე აქტიურად უჭერდა მხარს 1895 წელს რაბათში ბიბლიოთეკის დაარსებას.

ივანე გვარამაძე ხშირად მოგზაურობდა სამცხე-ჯავახეთის სოფლებში, აჭარაში და თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ. ასეთი მოგზაურობის დროს, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთად, შეაგროვა არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული მასალები, რითაც მოაწყო საოჯახო მუზეუმი, რომელსაც გაეცნო მრავალი მეცნიერი და უცხოელი ტურისტი: მოსკოვის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების თავმჯდომარე – გენერალი კომაროვი; ლონდონის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების წევრი, მსოფლიო მოგზაური – პრაისი; პროფესორი უვაროვისა პეტერბურგიდან. 1923 წელს, მისი საოჯახო მუზეუმისა და გაუქმებულ ეკლესიებში შეკრებილი მასალების საფუძველზე, ქალაქ ახალციხეში დაარსდა სამაზრო მუზეუმი. 1937 წელს, კონსტანტინე გვარამაძის მეცადინეობით, კვლავ გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ძველი არქივ-მუზეუმის მასალა. სამართლიანი იქნებოდა, თუ სამცხე-ჯავახეთის მუზეუმს დაერქმეოდა ივანე გვარამაძის სახელი.

ივანე გვარამაძის მდიდარი მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს მის მიერ შედგენილი ლექსიკონები წარმოადგენს: „ლექსიკონი ბუნებითი მეცნიერებისა“, „ქართული ლექსიკონის დამატებით ლექსები“, „თათრული სიტყვების განმარტებითი ბარათი“.

ივანე გვარამაძის მრავალმხრივი საქმიანობიდან ასევე აღსანიშნავია მისი ფოლკლორული მოღვაწეობაც, რასაც იგი, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, სიკვდილამდე ეწეოდა. მან, თურქთა მრავალწლიანი ბატონობის მიუხედავად, მოსახლეობაში შემორჩენილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები შეკრიფა. მის ჩანაწერებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „სუფრულებს“, თვითონ იყო მესხური სუფრულების შესანიშნავი მცოდნე. ამასთან დაკავშირებით, ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „მესხეთში და ჯავახეთში არ ყოფილა არც ერთი სასიმღერო კილო, რომ ივანე გვარამაძემ კარგად არ იცოდეს“. მან მოძიებულ „სუფრულებს“ ერთად მოუყარა თავი, „სამესხეთოს ძველი სიტყვიერება“ უწოდა და იუბილარ მგოსანს – აკაკი წერეთელს უძღვნა. მის მიერ არის ჩაწერილი აგრეთვე ისტორიული ხასიათის ლექსები, მესხეთში ხმარებული ანდაზები და გამოცანები, რომლებშიც ნათლად ჩანს მესხი ხალხის ნაზრევი.

ივანე გვარამაძე კარგად ფლობდა უცხო ენებს: სომხურს, თურქულს, ფრანგულს და ხშირად ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. ასეთი სამუშაოს შესრულება ძირითადად სხვადასხვა პირთა „დავალებით“ უხდებოდა. კერძოდ, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ როდესაც მიხეილ თამარაშვილი მუშაობდა შრომებზე, ივანე გვარამაძე, მისივე თხოვნით, ხშირად აწვდიდა სომხურიდან თარგმნილ მისთვის საჭირო მასალებს. ამასთანავე, სახელმძღვანელოთა სათარგმნელად მას ხშირად მიმართავდა კონსტანტინოპოლის ქართული სკოლის ხელმძღვანელობა. „ძლიერ მოგვეწონა ეს თარგმანი, რადგან იმაში ვერ ვჰპოვეთ წინააღმდეგი ვერც სუფთა მდაბიური ქართულისა, ვერც აზრების ბნელად და ყრუდ გამოყვანა და ვერც განსხვავება აზრებისა სომხური დედნის აზრებისაგან...“ მან თურქულ ენაზე თარგმნა ლოცვა „თაყვანსაგცემ“. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვის შემდეგ, ივანე გვარამაძე, პროტესტის ნიშნად, წირვა-ლოცვას თურქულ ენაზე წარმართავდა გარკვეული დროის განმავლობაში. იგი ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობით მეტად საჭირო საქმეს აკეთებდა და უდიდესი წვლილი შეიტანა თავისი ხალხის განათლებასა და მის კულტურულ დაწინაურებაში.

ივანე გვარამაძემ უდიდესი სამსახური გაუწია ქართველ კათოლიკეებს. ცდილობდა მათ დაცვას და სომეხი ნაციონალისტების ცილისწამების: „საქართველოში ქართველი კათოლიკენი არ არსებობენ, ისინი სომეხი კათოლიკენი არიანო“ – უარყოფას. ქართულენოვანი ტიპიკონის მოსაპოვებლად მრავალჯერ მიმართა თვით რომის პაპს და თავისი მტკიცება ვატიკანის არქივში დაცული ცნობებით შეაჯერა. ხშირად აქვეყნებდა გაზეთ „მშაკის“ საპასუხო წერილებსაც:

ივანე გვარამაძე ცდილობდა, თავისი მრევლისათვის თავიდან აეცილებინა გადაგვარების საფრთხე, მოუწოდებდა: „დროა, გამოვფხიზლდეთ, ქართველებო, შევიცნოთ თავი ჩვენი... ნუ მიეცემით განცხრომის ცდუნებას, იოლ ცხოვრებასა და ჩინ-მენდლებზე ნუ გავცვლით მამულს, ნუ გავზრდით შვილებს უცხო წესზე, მონური სულით... დროა, ქართველებო, გაარჩიოთ მტერი მოყვრისაგან, სტუმრად მოსულთ მასპინძლობის უფლებას ნუ მისცემთ“. ამიტომაც ილია მაისურაძე წერდა: „ივანე გვარამაძე და მისი თანამედრვე პეტრე ხარისჭირაშვილი... პირველნი იყვნენ, რომლებმაც გამაჰმადიანებას გადარჩენილი მესხეთის მოსახლეობას უქადაგეს გაერჩიათ ერთმანეთისგან სარწმუნოება და ეროვნება, შეენარჩუნებინათ მშობლიური ენა და მამაპაპური ტრადიციები“.

მან 1882 წელს ქალაქ ახალციხეში ჩამოსულ გრაფ ეგნატიევს განუმარტა: „ჩვენი სომეხ კათოლიკეთა ტიპიკონზე ყოფნა სრულებით არ ნიშნავს, რომ ეროვნებითაც სომეხნი ვიყოთ. სომეხ ტიპიკონზე ვართ, ეროვნებით კი ქართველნი – ენით, ზნე-ჩვეულებებით, სასაფლაოს ქვების წარწერით“. უჩვენა ჯავახეთში ველიდან (თურქეთიდან) გადმოსახლებულ ქართველ კათოლიკეთა სოფლები: ბავრა, ხულგუმო, კარტიკამი, ტურცხი. აღნიშნული ფაქტის შესახებ აკაკი წერეთელს ატყობინებდა, რომ გამომძიებელი ეგნატიევი, მოატარა რა მთელი ჯავახეთი, დაარწმუნა, რომ უძველესი დროიდანვე აქ უცხოვრიათ ქართველ კათოლიკეებს.

ივანე გვარამაძის არქივში დაცულია ტირასპოლის ეპისკოპოსებისადმი სხვადასხვა დროს გაგზავნილი წერილების დედნები. იგი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ერთმანეთისაგან გაერჩიათ სომეხი და ქართველი კათოლიკენი და თითოეული მათგანისათვის საკუთარი მართვის უფლება მიენიჭებინათ. მან, ქართველ კათოლიკეთა დაცვის მიზნით, გადაბეჭდა იოანე მაისურაძის 1864 წელს დაბეჭდილი ლოცვის წიგნი.

> ივანე გვარამაძე და მისი თანამედრვე პეტრე ხარისჭირაშვილი... პირველნი იყვნენ, რომლებმაც გამაჰმადიანებას გადარჩენილი მესხეთის მოსახლეობას უქადაგეს გაერჩიათ ერთმანეთისგან სარწმუნოება და ეროვნება, შეენარჩუნებინათ მშობლიური ენა და მამაპაპური ტრადიციები.
>
> **ივანე მაისურაძე**

ივანე გვარამაძეს საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან: ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან, რაფიელ ერისთავთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, ივანე როსტომაშვილთან. აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი ეპოქის დროინდელ მესხეთსა თუ საერთოდ საქართველოში წამოწყებულ ღონისძიებებში... იგი ხშირად მასპინძლობდა სამცხე-ჯავეხთში ჩასულ უცხოელ, თუ ქართველ მოღვაწეებს. სხვადასხვა დროს მისი სტუმრები იყვნენ:

ზაქარია ჭიჭინაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე როსტომაშვილი, ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), ილია ალხაზიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები.

მესხი მოღვაწის დამოკიდებულება მამულიშვილებთან ცალმხრივი არ ყოფილა. ქართველმა ინტელიგენციამ იმთავითვე დაინახა და მაღალი შეფასება მისცა მის მრავალმხრივ მოღვაწეობას. ქართული კულტურის მეცენატი ვასილ გამრეკელი მის შრომას „ციკლოპურს“ უწოდებდა, ხოლო თვითონ ივანე გვარამაძეს გულწრფელად სწერდა: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კიდევ არიან თითო-ოროლა თქვენისთანა პირნი, რომელნიც ხმამაღლა ღაღადებენ სიმართლეს... ამ დროს მარტო თქვენ გვყავხართ თითით საჩვენებელნი, როგორც სამაგალითო სამღვდელო პირი“.

იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიოსნად შრომობდა, ერთგულად ემსახურებოდა თავის ხალხს, ბევრი კეთილი საქმე გააკეთა და მაინც, როგორც ჩანს, თვითონ არ იყო კმაყოფილი თავისი მოღვაწეობით: „ვერა გავარიგერა სასარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის, ყოველი სურვილი და წადილი გამიუქმდა და დავრჩი ასე გულხელ დაკრეფილი“, – სწერდა იგი ექვთიმე თაყაიშვილს გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე.

ივანე გვარამაძე 82 წლის ასაკში გარდაიცვალა – 1912 წლის 24 მაისს. თავდაპირველად დაკრძალული იყო იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ეზოში, ხოლო 1945 წელს მისი ნეშტი გადასვენებულ იქნა წმინდა ჯვრის ეკლესიის ეზოში.

ივანე გვარამაძის დაღუპვა იმთავითვე დიდ დანაკლისად მიიჩნია ქართველმა საზოგადოებამ. მისი ხსოვნის აღსანიშნავად, კონსტანტინოპოლის ქართულ მონასტერში გადახდილ იქნა პანაშვიდი. მისმა შვილებმა კი სამძიმრის მრავალი წერილი მიიღეს. ალიოზ ბათმანაშვილი, კონსტანტინოპოლში მოღვაწე მისი მოსწავლე, წერდა: „მამი თქვენის მღ. ივანე გვარამაძის სიკვდილმა დიდათ დაგვაღონა. ფასდაუდებელ მამათქვენს მარტო თქვენ როდი მისტირით, არამედ ბევრი სხვანიც მოიპოვებიან და მეც აქაურ ბერ-მონაზვნებითურთ მონაწილეობას ვიღებთ თქვენს სამართლიან მწუხარებაში“.

1913 წლს 26 მაისს წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მღვდელმა სერაბიმ მერაბიშვილმა წირვაზე მრევლს ერთხელ კიდევ შეახსენა ივანე გვარამაძის მთავარი დამსახურება: „სწორედ მამა იოვანეს პროპაგანდაა, რომ დღეს ჩვენ ქართველად ვიცანით ჩვენი თავი“, სამართლიანად იქადაგა – „ამის გამო მღ., ივანე გვარამაძე დაუვიწყარი უნდა იყოს“. მართლაც, მისი გარდაცვალებიდან დღემდე, არ შენელებულა ივანე გვარამაძის პიროვნებისადმი ყურადღება. ქართველმა საზოგადოებრიობამ იმთავითვე გადაწყვეტა „ვინმე მესხის“ ძეგლის დადგმა მის მშობლიურ ქალაქ ახალციხეში, რისთვისაც შეიქმნა სპეციალური ფონდი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზაქარია დიდიმამიშვილი წერდა: „ვგზავნი 28 მანეთს მღ. იოანე გვარამაძის – „ვინმე მესხის“ ძეგლის ფონდის დასაარსებლად. აქვეა, შემომწირველთა სიაც“. თანხა გადაეგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზთა გამო, იმხანად ივანე გვარამაძის ძეგლი არ დაუდგამთ. აღნიშნული საკითხი საკმაოდ მოგვიანებით იქნა მოგვარებული. კერძოდ, 1979 წელს, ადგილობრივი მკვიდრის, სიმონ ზაზაშვილის მიერ იქნა დამზადებული ივანე გვარამაძის ბიუსტი, რომელიც დაიდგა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ეზოში.

ზემოთ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძე იყო თავისი დროისათვის კარგად განსწავლული პიროვნება და მრავალმხრივი მოღვაწე: არქეოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მწერალ-პუბლიცისტი, მასწავლებელი, ხალხური სიტყვიერების შემკრები და მკვლევარი, პოეტი და მხატვარი, ფლობდა თურქულ, ფრანგულ, ლათინურ, სომხურ ენებს, იცნობდა ქართულ და სომხურ მწიგნობრობას, იყო კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი (1882 წლიდან); საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას; იგი იყო სოფელ ხიზაბავრასა და ახალციხეში სკოლების დამფუძნებელი, უნიკალური საოჯახო მუზეუმის შემქმნელი, რაბათსა (ახალციხე) და ხიზაბავრაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების ერთ-ერთი ხელშემწყობი, პრაქტიკოსი მასწავლებელი, სახელმძღვანელოთა („ქართული ენის გრამატიკა“, „ქართლის ცხოვრება“) შემდგენელი, ღირსეულ მამულიშვილთა აღმზრდელი, მრავალი კათოლიკური ეკლესიის აღმდგენელი, სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა სულიერი მოძღვარი, ქართულ ენოვანი ტიპიკონისათვის მებრძოლი, თვით ტერმინის – „ქართველი კათოლიკე“ – აღმდგენელი, ამ კუთხეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავე და, საერთოდ, მესხ განმანათლებელთა წინამძღოლი.

ივანე გვარამაძე შორს იდგა სამღვდელოების იმ ნაწილისაგან, რომელიც პირადი მატერიალური უზრუნველყოფისათვის მეფის რუსეთს ერთგულ სამსახურს უწევდა. პირიქით, იგი ყოველთვის მშობელი ხალხის გვერდით იდგა და მის ინტერესებს იცავდა, დაუღალავად იბრძოდა თავისი ხალხის მიძინებული ეროვნული თვითშეგნების აღდგენისათვის.

ნატო ყრუაშვილი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

სიცოცხლის მარში!

სამყაროში სიცოცხლეზე უკეთესი არაფერია. ზოგიერთისთვის ის აღსასრულებელი მისიაა, ზოგიერთისთვის კი შეწყვეტილი სიმღერა; ვისთვის მწვანე ბილიკებია ის და ვისთვის მხოლოდ გულის ფეთქვა, ვისთვის ნატვრაა და ვისთვის სევდა, „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა.“

ყოველგვარ სიცოცხლეს მიღება და შენარჩუნება, მოთმინება და გაფრთხილება, აღქმა და დაფასება უნდა.

დღეს, როცა სიცოცხლეს ბევრი საფრთხე ემუქრება და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, საზოგადოება მოვალეა, ჩაუფიქრდეს ყველაფერ იმას, რაც მას საფრთხის ქვეშ აყენებს. საგანგაშოა, როცა ხელყოფილია ჯერ კიდევ დაუბადებელი სიცოცხლე; მსოფლიო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები ჯერაც ვერ შეთანხმდნენ, თუ რა ასაკიდან ითვლება ჩანასახი სრულუფლებიან პიროვნებად, ამიტომ აბორტი ისევ და ისევ რჩება აქილევსის ქუსლად. ამისათვის კი, პირველ რიგში, ყველა ის ორგანიზაციები უნდა დაირაზმონ, რომლებიც სიცოცხლის სამსახურში დგანან, რათა შეძლონ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, ინფორმაციის მიწოდება და ადექვატური რეაგირების მიღწევა.

ყველა ჩვენგანი სიცოცხლის გზას ვადგავართ და ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ ერთმანეთს. მივაბიჯებთ ამ დიდ გზაზე დიდ სამყაროში და ხშირად, ჩვენ-ჩვენი პატარ-პატარა საფიქრალით დახუნძლულები, ვერც კი ვამჩნევთ, ნებისმიერ შემთხვევაში რა მშვენიერია იგი.

მარტის თვეში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სიცოცხლის დღე აღინიშნება, ეწყობა უამრავი ღონისძიება, რითაც ცდილობენ საზოგადოების ყურადღების მიქცევას. ჩვენ კი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად, სუორა ანა მარიას ინიციატივით, „სიცოცხლის მარშის“ მოწყობა გადავწყვიტეთ. რაგინდ ხმამაღალ ნათქვამადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, უდიდესი აქცია შედგა. შევეცადეთ, 3კმ-იან მარათონზე მხარდამხარ გვევლო, ჩვენი სათქმელი ტრანსფარანტებით, ცოცხალი სიტყვით- ლექსითა და სიმღერით, შეძახილებით გამოგვეხატა.

უკან დარჩა მოსამზადებელი დაძაბული დღეები. მიუხედავად ცივი და წვიმიანი ამინდებისა, 24 მარტს მზიანი და თბილი დღე გათენდა, თითქოს საგანგებოდ, ალბათ, სუორა ანა მარიას ლოცვის წყალობით.

დილის 11 სთ-ზე მერიის ბაღში შევიკრიბეთ და მსვლელობის პირველი მონაწილეებიც გამოჩნდნენ. სხვადასხვა სკოლებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თავიანთი მოსვლით აქციისადმი კეთილი ნება დააფიქსირეს. ოპერის წინა ტერიტორია თანდათან მარშის მონაწილეებმა და მათმა აქსესუარებმა დაიკავა, რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლებიც შემოგვიერთდნენ. გაჟღერდა საზეიმო მუსიკის ჰანგები, მსახიობმა მაგდა ჩიხლაძემ, „ინერის“ თანამშრომლებთან ერთად, შეკრებილთ მარშის დაწყებისკენ მოუწოდა.

აღიმართა ტრანსფარანტები – „დიახ“ – სიცოცხლეს!“, „არა“ – აბორტს!“, „მივიღოთ განსხვავებული სიცოცხლე!“, „დაცული იყოს ჩანასახის სიცოცხლე!“

თემა ყველასთვის ნათელია, გზადაგზა შემხვედრი ადამიანები ინტერესდებიან, გვეკითხებიან, ეთანხმებიან და იწონებენ ჩვენს გადაწყვეტილებას. მონაწილეთა უდიდესი ნაწილი ბავშვებია – ახალი სიცოცხლე, გასავლელი რომ ძალზე ბევრი აქვთ. ძირითადად ორი ფერი დომინირებს – თეთრი და მწვანე, მშვიდობისა და სიცოცხლის ფერები. სიცოცხლის მარშია, სიცოცხლის მდინარეა, ღიმილი და სიხარულია. გზადაგზა შეჩერებებია, პირველად სამშობიარო სახლში შევდივართ და, ყვავილების ულამაზეს თაიგულთან ერთად, სიცოცხლის გზავნილს ვაწვდით წერილის სახით, ისინიც ღებულობენ, მერე ალბათ გადაწყვეტილებასაც მიიღებენ და მართლაც ეტყვიან უარს აბორტს სიცოცხლის სასიკეთოდ!

გამვლელებიც გვიერთდებიან და, როგორც თოვლის გუნდა, ბოლოს ზვავად ქცეული, ვეშვებით დედათა და ბავშთა დიაგნოსტიკური ცენტრისკენ ჩამავალ გზაზე. შემოგვიერთდა მედპერსონალი და ეზოში მომლოდინე ადამიანები.

პედიატრმა, ქალბატონმა თინიკო ტყეშელაშვილმა მისთვის ჩვეული სითბოთი და სიყვარულით ისაუბრა სიცოცხლის არსსა და სილამაზეზე. ბატონმა თემურ ნადირაძემ აღნიშნა, რომ მათთან მხოლოდ მინი აბორტი კეთდება.

აქაც იგივე გზავნილი, ოღონდ უკვე მედიკოსების ხელით შეტანილი, აქაც იგივე სურვილი და ნატვრა.

ხალხმა აქცია მოიწონა და ისურვა, რომ საზოგადოება მსგავს პრობლემებზე მეტად დაფიქრდეს.

დასრულდა მარში. მონაწილეებს დაშლა არ უნდათ; ერთი წელიც მალე გაირბენს და კვლავ შევხვდებით ერთმანეთს აქციაზე „სიცოცხლის მარში – 2“, მანამდე კი ადამიანებს, ალბათ, ფიქრისა და გადაწყვეტილებების მიღებისთვის დიდი დრო ექნებათ. მსვლელობას შემდგარად ჩავთვლით, თუ დრო ჩვენს სასიკეთოდ იმუშავებს.

ნ. ჟღენტი
„ინერ-საქართველო“

ეკუმენური დიალოგის მოწინააღმდეგე მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობას ეწინააღმდეგება

იორენიმე II

ათენი. მსოფლიო პატრიარქი, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი ბართოლომეო I მოუწოდებს საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, უარყოს და ოფიციალურად დაგმოს ზოგიერთი განცხადება და გამოსვლა, რომელიც ბოლო დროს გაჟღერდა მისი წიაღიდან და შესაძლოა, „საფრთხე შეუქმნას როგორც მის ერთიანობას, ასევე მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობას“. ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოს იერონიმე II-სადმი მიმართვაში, პატრიარქი ხაზს უსვამს იმას, რომ ამგვარი განცხადებებისა და გამოსვლების მიზანია, „დისკუსიის საგნად აქციოს და გააკრიტიკოს მართლმადიდებლურ, – საბერძნეთის ეკლესიის მონაწილეობით, – გარემოში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობას ორმხრივ და მრავალმხრივ თეოლოგიურ დიალოგში სხვა კონფესიებთან და ეკლესიების ეკუმენური საბჭოს, ევროპის ეკლესიათა საბჭოსა და სხვა მსგავსი ინსტიტუციების რელიგიათაშორის შეხვედრებში“. პატრიარქი ამის გამო წუხილს გამოხატავს და აღნიშნავს, რომ ამგვარი გამოსვლები (რომლებიც თავდაპირველად უფრო თავშეკავებული იყო) უკვე „მიუღებელ პროპორციებს“ აღწევს; თავად საბერძნეთის ეკლესიის მიტროპოლიტმა, მართლმადიდებლობის კვირას (4 მარტი), საღვთო ლიტურგიის მსვლელობისას ანათემას გადასცა სხვა კონფესიათა და რელიგიათა წარმომადგენლები და ეკუმენური მოძრაობის ყველა მონაწილე. „ასეთი განცხადებებით, – წერს ბართოლომეო, – ისინი გამოხატავენ თავიანთ პოზიციას და მოსაზრებებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ მასთან, რაც განაცხადეს მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებმა, არამედ, – და ეს პირველად მოხდა, – თვით მსოფლიო პატრიარქის განცხადებასთან, რომელიც რწმენის, ტრადიციის და კანონიკური ხელდასხმის „მცველია“ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში“. ამიტომაც, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი სთხოვს იერონიმე II-სა და საბერძნეთის ეკლესიის სინოდს, რომ საჯაროდ დაგმონ ეს „უსაფუძვლო და სახიფათო“ გამოსვლები და მიიღონ სათანადო ზომები, რათა შეაფერხონ და სრულიად აღმოფხვრან „მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობლივი გადაწყვეტილებების საწინააღმდეგო გამოსვლების“ პრაქტიკა. მანამდე კი, საბერძნეთის ეკლესიის ოფიციალური პოზიციისა და პასუხის მოლოდინში, ბართოლომეო მსგავსი სიტუაციების განმეორების პრევენციას ცდილობს. ეკუმენური პატრიარქი პირველად როდი მიმართავს ათენის მთავარეპისკოპოსს მსგავსი საკითხის გამო: ჯერ კიდევ 2009 წელს მან წერილით მიმართა იერონიმე II-ს „ეკუმენიზმის წინააღმდეგ მრწამსის“ გამო, რომელსაც, სხვათა შორის, ხელს აწერდნენ მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, იღუმენები, მღვდლები, ბერ-მონაზვნები და თეოლოგიის პროფესორ-მასწავლებლები.

ბართოლომეო I

© Osservatore Romano – 4 aprile 2012

ეკუმენური „კეთილი აღდგომა“

აღდგომის წინა თუ მომდევნო დღეებში, წესისამებრ, იერუსალიმის ძველი ქალაქის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ჯგუფ-ჯგუფად მოსიარულე წმიდა მიწის სხვადასხვა ქრისტიანულ საკრებულოთა წარმომადგენლებს. თავიანთი „Kawas“-ის წინამძღოლობით, ოტომანების სამოსში გამოწყობილ წამყვანებს, წმიდა ქალაქის ქრისტიან მამებს, უფლის აღდგომის შემდეგ, ერთმანეთის მისალოცად რომ მიდიან. განსხვავებულ ენებზე გაისმის: „კეთილი აღდგომა!“ თუმცა მსგავსია მონახულების ფორმა, მორწმუნეთა ამალა, მიღება და მისალმება. ოფიციალურად იცვლება მილოცვები და მისასალმებელ სიტყვას წარმოთქვამს როგორც სტუმარი, ასევე დამხვდური საკრებულოს წარმომადგენელი, ბოლოს კი ერთად აღნიშნავენ საზეიმო წუთებს. ეს ერთგვარი რიტუალია, რომელიც მოქცეულია არა წესების ჩარჩოებში, არამედ ტრადიციის ნორმებში, რომელიც წლიდან წლამდე მეორდება შობისა და აღდგომის დღესასწაულებზე და გამოხატავს ეკუმენური გზის ნაბიჯებს, რომელიც ამ ყოფითი ჟესტებისგანაც შედგება. წინა წლებისგან განსხვავებით, წლევანდელ წელს კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა აღდგომის თარიღი ერთმანეთს არ დაემთხვა, თარიღები შესაბამისად მიყვებიან გრიგორისა და იულიუსის კალენდარს.

10 აპრილს, ფრანცისკელ ძმათა ორდენმა მიიღო სტუმრები მონასტრის წმ. სალვატორეს დარბაზში, აქვე გაუზიარეს ერთმანეთს კეთილი სურვილები უფლის აღდგომასთან დაკავშირებით. პროტოკოლის მიხედვით, რომელიც დეტალურად აღწერს შეხვედრებს, წმიდა მიწის გუშაგმა, ძმა პიერბატისტა პიცაბალამ, თავის ვიკართან, მთავარ მდივანთან და ადგილობრივი საკრებულოს სხვა მოძმეებთან ერთად, სისხამ დილით მიიღო სტუმრები: ბერძენი მართლმადიდებლები, დღის მანძილზე მათ მოჰყვნენ კოპტები და ასირიელები, სომხები და ბოლოს ეთიოპიელები. შუადღით ისევ გაგრძელდა ვიზიტები იერუსალიმის ლათინ პატრიარქთან, მის ყოვლადუსამღვდელოესობა მონსინიორ ფოად თვალთან (Fouad Twal), მელქიტების წარმომადგენლებთან ერთად. ეს მართლაც შესაშური წუთები გახლდათ იმ მხრივ, რომ მათ საშუალება მიეცათ, ერთმანეთისთვის მადლობა გადაეხადათ და მიელოცათ ბრწყინვალე დღესასწაულები, სხვების სიხარულში აღმოეჩინათ ის ნიშანი, რაც მათ სიხარულს ბოლომდე აღავსებს და განაცდევინებს ქრისტიანად ყოფნის მშვენიერებასა და წმიდა მიწაზე ცხოვრების სიხარულს, მიუხედავად უამრავი სირთულისა და გაურკვეველი მომავლისა. რამდენიმე დღის შემდეგ, წმიდა მიწის საგუშაგოსა და იერუსალიმის ლათინური საპატრიარქოს წარმომადგენლები გაემართნენ, რათა მიელოცათ ბერძენი მართლმადიდებლების, სომხების, კოპტების, ასირიელებისა და ეთიოპიელებისთვის. ყოველივე ეს პროტოკოლის ფორმალური მხარე გახლავთ, მაგრამ იგი მეტყველებს გულითად, თავაზიან, გულღია, ხშირად მეგობრული და სანდო ნიშნებით გაჯერებულ კავშირებზე. იერუსალიმში ხომ ისინი ერთად იზიარებენ რწმენასა და ბედს, მოწოდებასა და მოწიწებას წმიდა ადგილებისადმი, შუა აღმოსავლეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული მრავალი ქრისტიანული საკრებულოს სატკივარს, ერთად იზიარებენ ასევე ქრისტეს ერთი ოჯახის წევრობას, და იმ გამამხნევებელ რწმენას, რომ ისინი საერთო მემკვიდრეობის შვილები არიან.

იერუსალიმი, 10 აპრილი. იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი წმ. მაცხოვრის მონასტერში

მართლმადიდებელთა აღდგომის წმიდა ცეცხლი

იულიუსის კალენდრის მიხედვით, ამ წელს მართლმადიდებელ ეკლესიაში აღდგომა 15 აპრილს იზეიმეს. კათოლიკეების დღესასწაულის შემდეგ, წმიდა სამარხი უწყვეტად იღებდა მორწმუნეებსა და მომლოცველებს. მართლმადიდებელთა აღდგომის წინა დღეებში იერუსალიმის ძველი ქალაქი და ბაზილიკის მიმდებარე ზონა იმდენად გადაჭედილია ხალხით, რომ აუცილებელი ხდება წესრიგის დამცველთა ჩარევა. მრავალი მომლოცველი მოდის აღმოსავლეთ ევროპიდან, მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავია იერუსალიმში ჩამოსულ ეგვიპტელთა რიცხვი; ზოგი მათგანი აქ პირველადაა:

„ძალიან კმაყოფილი ვარ, ძალიან! მოვინახულე ეს ლამაზი ადგილები და, მადლობა უფალს, ძალიან მიხარია! ეს ჩემი ცხოვრების ოცნება იყო!“.

„მე პირველად ვარ წმიდა მიწაზე, ეს დიდი სიხარულია, წმიდა ადგილების მონახულებით გამოწვეული სიხარული! ვერაფერს ვიტყვი, მე მხოლოდ სიხარული განვიცადე“.

„ეს თაფლივით ტკბილი მიწაა, ყოველთვის ჩამოვალ აქ, ყოველ წელს! რადგანაც მიყვარს ამ სუფთა, წმიდა მიწის მონახულება, მისგან კურთხევის აღება“.

მომლოცველთა საოცარი ნაირფეროვნება: მრავალი ბერ-მონაზონი რუსეთიდან, ადგილობრივი ქრისტიანები, უამრავი ეთიოპიელი ქრისტიანი, აქვე არიან კათოლიკეები, ფრანგული ოჯახი, რომელიც აქ ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვისთვის ჩამოვიდა:

„ჩამოვედით, რომ აღდგომა მართლმადიდებლებთან ერთად აღვნიშნოთ, რომ ვაჩვენოთ ჩვენი კეთილი ნება ქრისტიანთა ერთიანობისადმი“.

„სერბეთიდან ჩამოვედი, სერბ მომლოცველებთან ერთად, განსაკუთრებით აღდგომისათვის და იმ გასაოცარი მოვლენისთვის, რომელიც აქ შაბათს ხდება, ეს კურთხეული ცეცხლია“.

წმიდა ცეცხლი არის ის მოვლენა, მართლმადიდებელთა აღდგომის ცისკარზე, რაც ყველაზე მეტად იზიდავს ქრისტიანებს, წმიდა შაბათს, დილიაადრიანად დგებიან ისინი რიგში და ცდილობენ, კარგი ადგილი დაიკავონ წმიდა სამარხის ბაზილიკაში. ბევრი მათგანი საათობით დგას ფეხზე, რომ კურთხეული ცეცხლი მიიღოს, რომელიც ქრისტეს სამარხიდან გადმოდის იმ მოვლენის წყალობით, რასაც მრავალი სასწაულად მიიჩნევს.

თავად სამარხის შიგნით გამეფებულია მოლოდინისა და სადღესასწაულო ატმოსფერო. დროდადრო ბაზილიკის ერთ-ერთი დერეფნიდან გალობის ხმა მოისმის, მაშინ, როცა ახალგაზრდების ჯგუფი სცენას მართავს სწორედ იმ სამლოცველოს გვერდით, რომელიც საგულდაგულოდ ინახავს ცარიელ სამარხს.

შუადღისას მოდიან სხვადასხვა რელიგიური საკრებულოს წევრები, კოპტები, ასირიელები, სომხები და ბერძნები. სწორედ ამ უკანასკნელთ აქვთ ამ ცერემონიალის გაძღოლის პრივილეგია, რის შესახებაც პირველივე საუკუნეებიდანვე მოგვეპოვება ისტორიული ცნობები. სამლოცველოს კარი დალუქულია თაფლისა და სანთლის ნაზავით, იგი მხოლოდ მაშინ გაიღება, როცა იქ შევა მართლმადიდებელი პატრიარქი, რომელსაც უკან გაჰყვება სომეხი პატრიარქი. ცოტა ხნით ადრე, ვიდრე პროცესია სამარხის ირგვლივ სამ წრეს შემოუვლის, ბაზილიკაში ყველა ნათურა ქრება.

იერუსალიმის ბერძენი პატრიარქი სამარხში მას მერე შედის, რაც საეკლესიო სამოსელს გაიხდის. რამდენიმე ხნის მოლოდინის შემდეგ, სამლოცველოს გვერდითა მხრიდან ჩამოატარებენ პირველ ანთებულ სანთელს, ცეცხლი უსწრაფესად გადადის ხელიდან ხელში და მთელი ბაზილიკა ამ ცეცხლის ალით ნათდება; ზოგიერთებისთვის ეს სასწაულია და, აქედან გამომდინარე, ცეცხლი კურთხეულია, რადგანაც იგი სწორედ იმ სამარხიდან გამოდის, სადაც აღდგომას ჰქონდა ადგილი.

ძველი ღმერთი დატყვევებული მღვდელმთავარი

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ № 11-12. 2011, № 1-4. 2012)

რ ო გ ო რ ი
დიდი უფსკრული
არის ჩემს ღრმა სისაწ-
ყლესა და ქრისტეს მეუფე-
ბას შორის! ის მთელ ქვეყანა-
ზე იქადაგება, უყვართ და თაყვანს
სცემენ! ცოცხალი არის მილიონობით
ადამიანთა გულებში ათას წლების შემ-
დეგაც! განა ეს სიკვდილია? არა! ეს სიცოცხ-
ლე არის! ქრისტეს ეს საუკუნო მეუფება ცხადად
გვიჩვენებს მის ღმერთობას! ხოლო თუ ქრისტე არის
ღმერთი, მაშინ მისი დაფუძნებული ეკლესიაც ღვთიურია
და იესო მფარველობს მას, ამიტომ ვერავითარი ჯოჯოხეთის
მძლავრობა ვერ დასძლევს მას!

ნაპოლეონმა განაგრძო ლაპარაკი: ნეტავ ყველა ქვეყნის მფლობელისათვის მეთქვა, პატივი ეცით ქრისტეს მომაგიერესა, ნუ შეაწუხებთ მას, ნუ შეეწინააღმდეგებით; თორემ შეგმუსრავთ თქვენ პეტრეს ტახტის ღვთიური მცველ მფარველობა! ამ დროს კეისარი გაჩუმდა, ადგა თავისი მაჩრდილებელი ხის ტოტების შუიდან და გაიარა.

ნაპოლეონ მე-3 მღვდელმთავრის მტერი

გრაფი იოსებ რეთელი, 1864 წელს პარიზში, თავის სახლში იჯდა და მოკითხვის წერილს კითხულობდა. იგი უკვე საპატიო მოხუცებულობაში შესულიყო. ნაპოლეონ მე-3 საფრანგეთის კეისარი უკანასკნელ წერტილამდე პატივს სცემდა გრაფს, რადგან იგი ბიძამისს ერთგულად ემსახურა და მისი პატიმრობის მონაწილეც იყო. რეთელი კეისრის ოჯახის წევრივით იყო. მის სიტყვას მთელ სამეფოში დიდი პატივი ჰქონდა. თუმცა გრაფი რეთელი სახელმწიფო სამსახურს თავს არიდებდა, იგი ცხოვრობდა თავისთვის და თავის ოჯახისათვის, სწავლას მისდევდა და საქვეყნო ამღვრეულებებში სიამოვნებას ვერ პოულობდა.

საფრანგეთი ისევ მრუდე გზას დაადგა, აფრთხილებდა კეისარს რეთელი, ბეჭდური სიტყვა აღვირახსნილია, ერი ქრისტიანობას შორდებაო, ამბობდა ის. სახელგანთქმული ბიძა თქვენი, რომ ყოფილიყო, ის ამათ ასეთ საქმეებს არ დაანებებდაო.

გრაფ რეთელს პარიზში, ძლიერ კარგად შესრულებული ხატის შეძენა სურდა. დედაქალაქში მისვლის მეორე დღეს ზემოხსენებული წერილი მიიღო, რომელმაც ის ძალიან ააღელვა. შემდეგ წერილი გადასდო და ბალიშზე დაეშვა. არა ეს შეუძლებელიაო, დაიძახა შემდეგ. წერილი კიდევ გადაიკითხა, ტანისამოსი გამოიცვალა და საკუთარი ეტლით კეისრის სასახლეში წავიდა.

მაგიდასთან მჯდომი ერთი შუატანის ჩასუქებული კაცი წერილს სწერდა, სახეზე თითქმის მკვდრის ფერი ედო, გადაყვითლებული, უცხოველო და უგრძნობი. გეგონებოდათ, რომ მისი პირისახე მარმარილოსაგან გამობერილიაო, მსხვილი ულვაშები ჰქონდა, თვალები წვრილი ჰქონდა, ზოგჯერ მახვილი და მწველი, ზოგჯერ მზაკვარი და მოღალატე, ზოგჯერ ერთიანად იკარგებოდნენ ქუთუთოების ქვეშ.

მთელი მისი შეხედულება უნდობლობას გამოხატავდა, საზარელი და ცუდი სანახავი იყო.

ეს კაცი ნაპოლეონ მე-3 კეისარი იყო, იგი თავის წარმატებების მაღალ მწვერვალზე იმყოფებოდა: რუსეთი დაემდაბლებინა, ავსტრიას მოერია, იტალიაშიც ჯარი ჰყავდა შეყვანილი. მღვდელმთავრის ტახტის მამულების წარმტაცებლებს ხელს უმართავდა. მთელი ქვეყანა ამ კეისრის ბრძანებებს ემორჩილებოდა და როცა იგი უხასიათოდ იყო, ყველგან ქაღალდის ფულის ფასიც კი ძირს ეცემოდა.

– ეს რა საკვირველებაა ჩემო საყვარელო გრაფო, რომ პარიზში ხართ? ასე შინაურულად მიმართა კეისარმა რეთელს და მისი მღელვარებაც შეამჩნია.

– შემთხვევით ვარ აქ ბედნიერო ხელმწიფევ, ანუ ჩემი აქ ყოფნა ღვთის განკარგულებაა!

ნაპოლეონის წვრილი თვალები რეთელს აკვირდებოდნენ. კეისარმა მას სკამი შესთავაზა.

– ჩანს რაღაცაზე აღელვებული ხართ, იმედია უბედურება არ არის ამის მიზეზი, უთხრა ნაპოლეონ მე-3.

– ჩემთვის არაფერი თვითმპყრობელო ხელმწიფევ, მაგრამ თქვენ და თქვენს ოჯახს, ასევე მთელ საფრანგეთსაც ნამდვილად მოელის უბედურება, უპასუხა გრაფმა. ამ სიტყვებმა ნაპოლეონ მე-3 პირისახეს ცოტა სიცხოველე მოჰგვარა, მას გაოცება დაეტყო.

– მომიტევეთ ასეთი სიტყვებისათვის ბედნიერო ხელმწიფევ, წარმოსთქვა რეთელმა.

– თქვენ ქება არ გჭირდებათ ჩემო კარგო გრაფო, თქვენი ერთგულება ვიცით და პატივს გცემთ. თქვენი განვლილი ცხოვრება ჩემი კეისრობის სახლეულთ წრეში გრიცხავთ, პირდაპირ მითხარით რა გაქვთ გასაბრაზებელი?

– დიდებულო ხელმწიფევ, გდომებიათ მღვდელმთავრის გაწირვა. ქრისტიან წმინდა მამათა დაცვის მაგიერ, მათ მტრების ხელში აგდებთ! სთქვა გრაფმა რეთელმა.

– საიდან გაქვთ ასეთი ეჭვები? იკითხა ნაპოლეონ მე-3.

– მეგობარმა მაცნობა წერილით, ეს მოახლოებული განსაცდელი!

– რა ჰქვია შენს მეგობარს?

– ბრძანება მიბოძეთ დიდებულო ხელმწიფევ, რომ ჩემი მეგობარი თქვენი დაკარგვის განსაცდელში არ ჩავაგდო.

– შეუძლებელია, რომ გრაფ რეთელის რომელიმე მეგობარმა ჩემი წყალობა დაჰკარგოს, როგორი უსიამოვნებაც არ უნდა მომაყენოს მან. გაზეთებმა ქვეყანას უნდა ამცნონ, რომ იტალიასთან პირობითი კავშირი უნდა დავიჭირო, შიგ ის გადაწყვეტილებაც არის, რომ ორი წლის შემდეგ ჩვენი ჯარები რომიდან გამოვლენ; ამის შემდეგ არავის არ შეუძლია სთქვას, რომ ჩვენ მღვდელმთავარს მისი მტრების ხელში ვაგდებთ.

– დიდებულო ხელმწიფევ გთხოვთ, თქვენ მაგ პირობით ნუ შეეკვრებით, ასე ევედრებოდა გრაფი რეთელი კეისარს, ფარულ ამხანაგობათა ეკლესიის თავის მიმართ სიძულვილი კარგად იცით, როდესაც ჩვენი ჯარი რომიდან გამოვა, სამღვდელმთავრო ტახტის ყოველ მტერს ნიშანი მიეცემა, უმწეო პიო მე-9 წინააღმდეგ!

(გაგრძელება იქნება)

ავტორი კონრად ბოლონდენელი
მესხის იოანე მღვდელ გვარამაძის
მიერ ნათარგმნი

(მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)

სიქსტეს მაღონა და რუსული კულტურა

(გაგრძელება, დასაწყისი :საბა“ 2011, №9–11; 2012, №3,4)

1867 წელს გამოცემულ ნაწარმოებში „იდიოტი“ დიდი მწერალი იმეორებს ცნობილ ფრაზას, რომელშიც განსაზღვრავს მშვენიერების არსს: „მშვენიერება იხსნის სამყაროს“; და, ცხადია, არა ეფემერული და გამორჩეულად ესთეტიკური, არამედ მშვენიერება, რომელიც ადამიანის შინაგანი სულიერი სილამაზიდან, „მორალიდან“ მომდინარეობს და რაც თავისთავად ესთეტიკურია. შეუძლებელია, დოსტოევსკის, ამ ფრაზის წარმოთქმისას, მხედველობაში არ ჰქონოდა დრეზდენის ღვთისმშობელი, ხელოვნებისა და უმაღლესი სულიერების შედეგრებთან ერთად, რისი მეშვეობითაც ხელოვნება თავის თავს ამჟღავნებს. „მორალურად მშვენიერი“ რუსი მწერლისთვის გახლდათ საზოგადოების მიერ“იდიოტად“ მიჩნეული მიშკინის პრინციპი, რომელსაც ვერ გაეგო თავისი წმიდა და უმანკო სულის მშვენიერება; მშვენიერება, უკიდეგანო და უსასრულო მშვენიერება მისთვის იესო ქრისტეა, „ერთადერთი მშვენიერი პიროვნება“ მთელ წუთისოფელში, როგორც 1868 წელს, თავის ბიძაშვილს, სონია ა. ივანოვნას სწერს წერილში, და იქვე დასძენს: „მშვენიერი არის იდეალი“. რომანში „ეშმაკნი“, რომელიც დოსტოევსკიმ მიუძღვნა ნიჰილისტებს, ვარვარა პეტროვნა, მოხუცი მეცნიერის, სტეფან ტროფიმოვიჩის კეთილშობილი მეცენატი, თავის მეგობარს იულია მიხაილოვნას, ხელოვანი და მოაზროვნე ადამიანების კიდევ ერთ პროტექტორს, ეუბნება, რომ სტეფანს რაღაცის დაწერა განუზრახავს დრეზდენის მადონაზე, ამის გაგონებაზე მიხაილოვნა სნობივით წამოიძახებს: *„დრეზდენის მადონაზე? ანუ სიქსტეს მადონაზე? ძვირფასო ვარვარა პეტროვნა, მე ორი საათი ვიჯექი ამ სურათის წინაშე და იმედგაცრუებული წამოვედი. ვერაფერი გავიგე და დიდად გაოცებული ვიყავი. კარმაზინოვიც ამბობს, რომ ძნელი გასაგებია. ახლა ხომ ვერავინ ვერაფერს პოულობს მასში, გინდ რუსები და გინდაც ინგლისელები. მთელი ეს დიდება ძველების მოგონილია“.*

„არავის არაფერში სჭირდება ეს მარიამი. იგი ხომ უსარგებლო ასლია, მასზე შეიძლება წყალიც დაიღვაროს; აი, ეს ფანქარი სასარგებლოა, რადგანაც ამით შეიძლება ყველაფერი დაწერო, ხოლო ქალის ეს სახე ყველა ბუნებრივ სახეზე საშინელია. მოდით, შეეცადეთ, დახატეთ ვაშლი და ნამდვილი ვაშლის გვერდით დადეთ: რომელს აირჩევდით? აქ ვერ შეცდებით. აი, სადამდე დადის მთელი თქვენი თეორია...“

ტროფიმოვიჩი ამაოდ ცდილობდა მოსაუბრესთან ახალი იდეების უაზრობის დამტკიცებას და საწადელს რომ ვერ მიაღწია, წასვლა დააპირა, მაშინ პეტროვნამ უთხრა მას:

„დაჯექით ცოტა ხნით, სტეპან ტროფიმოვიჩ, კიდევ ერთი რამ უნდა გკითხოთ. თქვენ მოგიწვიეს, რომ რაღაც წაგეკითხათ „ლიტერატურულ დილაში“, რომელსაც მე ვაწყობ. მითხარით ზუსტად, რას წაიკითხავთ?“

– რაღაცას წავიკითხავ სწორედ იმ დედუფალთა დედუფალზე, კაცობრიობის იმ იდეალზე, სიქსტეს მადონაზე, რომელიც, თქვენი აზრით, ჭიქა წყლად ან ფანქრადაც კი არ ღირს“. „–გამოდის, რომ ისტორიულ თემაზე არ ისაუბრებთ... მაშინ არავინ მოგისმენთ. თავი დაგვანებეთ ამ თქვენი ღვთისმშობლით! რა საჭიროა, ყველას დაეძინება!“. „– საკმარისია! ნუ მთხოვთ, არ შემიძლია. წავიკითხავ რაღაცას მადონაზე და ავტეხავ ქარიშხალს, რომელიც ან ყველას დაატყდება თავს, ან მხოლოდ მე!... მოვყვები იმ მონაზე, იმ გახრწნილ და გარყვნილ მონაზე, რომელიც პირველი აძვრება კიბეზე, ხელში მაკრატლით და დასერავს დიადი იდეალის ღვთაებრივ სახეს, თანასწორობის, სიძულვილის და ....ძნელად აღსაქმელის სახელით. ასე გახმიანდება ჩემი წყევლა, და მერე, მერე...“. „– მერე საგიჟეთში წახვალთ?“ „–აღბათ. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, იქნება ეს გამარჯვებული თუ დამარცხებული, იმ საღამოს ავიღებ ჩემს საცოდავ ფუთას, ყველა ჩემს საქმეს მივატოვებ, ყველა თქვენს საჩუქარს, მთელ პენსიასა და სამომავლო დაპირებებს და ფეხით გავუყვები ჩემი ცხოვრების დასასრულისკენ, როგორც რომელიმე ვაჭრის სახლში მყოფი, ან სადმე შიმშილისაგან ღობის ძირში მკვდარი. ეს არის და ეს.“

ტროფომოვიჩი „სიქსტეს მადონას“ ასე განსაზღვრავს: „დიდი იდეალის ღვთაებრივი სურათი“, და ჩვენ ვიცით, რომ დიდი იდეალი ეს არის „მშვენიერება“, ანუ „მორალური მშვენიერება“. და ბოლოს, „დანაშაული და სასჯელი“ (1866), სადაც გარყვნილი სვიდრიგალოვი გოგონას, რომელსაც თავი ფანატიკურად შეაყვარა, *სიქსტეს მადონას* სახეს ამსგავსებს, რადგანაც ისეთ არსებას, როგორიც სვიდრიგალოვი იყო, არ ძალუძს ღვთაებრივის აღქმა. ეს ბნელი სული მძიმე ტკივილის მიღმა ვერ ხედავდა ამ ღვთიური სახის უსასრულო სიტკბოებასა და მშვენიერებას.

დოსტოევსკის შემდეგ, მეორე დიდი რუსი მოაზროვნე, რომელსაც განსაკუთრებული განცდა დაეუფლა რაფაელის სურათის ნახვისას, გახლდათ ფილოსოფოსი და თეოლოგი, სერგეი ნიკოლოზის ძე ბულგაკოვი. იგი 1871 წელს დაიბადა ორლოვის გუბერნიაში, მართლმადიდებელი მღვდლის ოჯახში. მარქსიზმის მიმდევარი, იდეალიზმსა და ქრისტიანობაში გადაეშვა იმ შინაგანი მზაობის წყალობით, რაც ოცდაოთხი წლის ასაკში, სამხრეთ სტეპებში მოგზაურობისას განიცადა, რამაც იგი ღვთის არსებობის პრობლემის წინაშე დააყენა, რომელსაც უკვე ათი წელი იყო, რაც უარყოფდა, და ასევე დრეზდენში „სიქსტეს მადონას“ ხილვის წყალობით. 1918 წელს ის მართლმადიდებელი მღვდელი გახდა; ბოლშევიკთა მიერ განდევნილმა, მთელი დარჩენილი ცხოვრება საფრანგეთში გაატარა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1944 წელს. 1898 წელს, ქორწინების შემდეგ, ბულგაკოვი გერმანიაში გაემგზავრა, კერძოდ, დრეზდენში, თავის ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად; იგი ასე აღწერს სიქსტეს მადონასთან „სასწაულებრივ შეხვედრას“ გალერეაში.

„წუთისოფლით აღტაცების ახალმა ტალღამ ჩაიარა. „პირად ბედნიერებასთან“ ერთად, პირველი შეხვედრა „დასავლეთთან“ და პირველი აღმფრენა: „კულტურულობა“, კომფორტი, სოციალ-დემოკრატია... და უცაბედად, მოულოდნელად, სასწაულებრივი შეხვედრა: სიქსტეს მადონა დრეზდენში. შენ თავად შეეხე ჩემს გულს და შენს გამოხმობაზე იგი ათრთოლდა...“

ჩემი გათვითცნობიერებულობა ხელოვნებაში სავსებით მწირი იყო, ნამდვილად არ ვიცოდი, რა მელოდა გალერეაში. იქ სულში ჩამწვდა მარადიულ ყრმასთან ერთად ღრუბლებზე მომავალი ზეციური დედოფლის მზერა. მასში იყო განუზომელი ძალა სიწმინდისა და შორსმჭვრეტელობა მსხვერპლისა, — ტანჯვის შეცნობა და მზაობა ნებით გამოხატული თავდადებისა, და მსხვერპლგაღების ეს რეალური მზაობა გამოსჭვივის ყრმის ბრძნულ, არაბავშვურ მზერაშიც. მათ იციან, რაც ელით, რისთვის არიან განწირულნი, ნებაყოფლობით სწირავენ თავს და მომავლინებლის ნებას ასრულებენ: ერთის „გულში მახვილს უნდა გაევლო“, მეორეს კი გოლგოთა ელოდა... აღარაფერი მახსოვდა, თავი მიბრუოდა, თვალებიდან სიხარულისა და თან სიმწრის ცრემლები მდიოდა, მათთან ერთად გულში ყინული დნებოდა და რაღაც სასიცოცხლო კვანძი იხსნებოდა. ეს არ იყო ესთეტიკური ემოცია, ეს იყო შეხვედრა, ახლის შეცნობა, სასწაული... მე (მაშინ მარქსისტმა) უნებურად ამ ხილვას ლოცვა ვუწოდე და ყოველ დილით ვცდილობდი ცვინგერში მოხვედრას და სანამ ჯერ კიდევ იქ არავინ იყო, ვჩქარობდი, მივსულიყავი მადონას სახის წინაშე (29), რომ „მელოცა“ და მეტირა, და ცოტა თუ მოიძებნება ცხოვრებაში ამ ცრემლებზე მეტად ნეტარი წუთები...“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

(ცეზარე ბორი – რაფაელის სიქსტეს მადონას გავლენა რუსულ კულტურაზე. მულინო, ბოლონია, 1990 წ.)

მოამზადა **მამა გაბრიელ ბრაგანტინიმ**

მამა ივანე გვარამაძის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი

საიუბილეო ღონისძიებების პროგრამა:

24 მაისი, 2012 წელი

14:00

– მ. ივანე გვარამაძის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი რაბათში, მის საფლავთან.

17:00

– ახალციხის საქალაქო ბიბლიოთეკა – მ. ივანე გვარამაძის გახსენება. ღონისძიებას გაუძღვებიან ახალციხის მუზეუმის თანამშრომლები.

18:00

– მ. ივანე გვარამაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი.

საყოველთაო უფლებები თურქეთში

ანკარა. 2012 წლის 19 აპრილი. შეხვედრა, რომელიც „დიდ იმედებს იძლევა“, თუნდაც იმიტომ, რომ თურქეთში კათოლიკეების სურვილია, ჰქონდეთ კონსტიტუცია, რომელიც იქნება „დედასავით, რომელიც ყველა თავის შვილს დაიცავს“. ამ განახლებული იმედით გაჯერებულ კლიმატში გაიმართა თურქეთის საეპისკოპოსო კონფერენციის წარმომადგენლების შეხვედრა ანკარის საპარლამენტო კომისიის წევრებთან, რომლებიც ახალი საკონსტიტუციო ქარტიის რედაქტირებას ხელმძღვანელობენ. შეხვედრა შედგა მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელ პატრიარქთან, ბართოლომეოსთან, ა.წ. 20 თებერვალს მოეწყო სხვა საკრებულოთა წარმომადგენლების, მათ შორის, კათოლიკეებისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან აუდიენცია, სადაც მოხდა აზრების ურთიერთგაზიარება.

შეხვედრის ცენტრში იდგა კათოლიკური ეკლესიის იურიდიული აღიარების საკითხი, რომელიც დიდ დაბრკოლებებს ქმნის საეკლესიო საქმიანობის განვითარების მხრივ.

კომუნიკე-ში, რომელიც თურქეთის საეპისკოპოსო კონფერენციამ გამოსცა, საუბარია „მშვიდ გარემოში ჩატარებულ“ შეხვედრაზე, რომელიც „დიდ იმედს იძლევა“. ფაქტობრივად, „შემდგარი კოლოქვიუმებიდან ორივე მხარემ გადახედა იმ შესაძლებლობებს, რაც კეთილ ზრახვებამდე მიგვიყვანს“. შეხვედრის მსვლელობისას, კათოლიკე ეკლესიის დეპუტატებმა წამოაყენეს „პრობლემები“ და „მოთხოვნები, რომლებიც მომზადების ფაზაში მყოფ ახალ კონსტიტუციაში უნდა განთავსდეს“. როგორც ცნობილია, „უმთავრეს მოთხოვნად“, რაც რელიგიური თავისუფლების კონტექსტში მოიაზრება, სწორედ იურიდიული აღიარება გახლდათ. თავის მხრივ, მთავრობის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამგვარი მოთხოვნა დამოკიდებული არაა ახალ კონსტიტუციაზე, არამედ შეიძლება რომელიმე ახალი კანონმდებლობით იქნეს მიღებული. სამომავლო შეხვედრებზე მხედველობაში მიიღებენ ეკლესიების, სკოლების, საავადმყოფოებისა და იმ სხვა ქონების საკუთრების პრობლემებს, რაც ამჟამად ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის საკუთრებაშია.

შეხვედრაში მონაწილეობდა მთავარეპისკოპოსი იზმირიდან, რუჯერო ფრანჩესკინი, საეპისკოპოსოს თავმჯდომარე, რომელსაც თან ახლდა სტამბულის სამოციქულო ეგზარქიის ადმინისტრატორი, ლუის პელატრე, და ანტიოქიის საპატრიარქოს ეგზარქოსი იუსუფ სა. „ვიმედოვნებთ, რომ ახალი კონსტიტუცია, – განუცხადა *სააგენტო ფიდეს* ასირო-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელმა, – ნათელს მოჰფენს არაერთ საკითხს. ჩვენ გვჭირდება ახალი კონსტიტუცია, რომელიც ყველას ისევე მიიღებს და დაიცავს, როგორც დედა თავის შვილებს. არ გვგონია, რომ იგი განსხვავებული იქნება თურქ მუსულმანთა კონსტიტუციისგან: ჩვენ, ასირიელები (ამ მიწა-წყალზე უკვე 4.500 წელი მცხოვრებნი), იგივე უფლებებს ველით, რაც თურქ მუსულმან მოქალაქეებს აქვთ“. მონსინიორ ფრანჩესკინის მიერ გამოხატული მოსაზრება ამ მხრივ იმედის-მომცემია: „აღსანიშნავია დადებითი კლიმატი ჩვენი ძირითადი მოთხოვნის ირგვლივ – მივაღწიოთ თურქეთში იურიდიული სტატუსის აღიარებას. მომავალ შეხვედრებზე უკვე მხედველობაში მიიღებენ საკუთრებათა უფლებების პრობლემებს“.

შესაძლო იურიდიული აღიარება ეკლესიას საშუალებას მისცემდა, რომ თავის მფლობელობაში შეეტანა ის უძრავი ქონება, რაც საეკლესიო საქმიანობას უფრო გაამარტივებდა. „სამწუხაროდ, – დასძენს მონსინიორ ფრანჩესკინი, – ჩვენი ეკლესია რიცხვობრივად პატარაა, მას სჭირდება პიროვნებათა უფრო მეტი რაოდენობა, არა მარტო წირვაზე დასწრების მიზნით, არამედ იმ საჭირო სქემის მოსაგვარებლად, რაც დაეხმარება ეკლესიის აქტუალური საქმიანობის წინსვლას. საჭიროა ისეთი მუშაობა, რაც მეტ ყურადღებას დაუთმობს ოჯახებს, ავადმყოფებს, ახალგაზრდებს, ანუ ის, რაც დასავლეთის ეკლესიაში ჩვეულ საქმიანობად ითვლება, აქ უკვე უკიდურესად აუცილებელი და ფასდაუდებელი ხდება“.

L'Osservatore Romano 20 aprile 2012

შეგნებული „შეცდომა“

წერილი იბეჭდება სოფელ ხიზაბავრის მაცხოვრებელთა თხოვნით

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მკვლევარის, პროფესორ თინა იველაშვილისა და ასევე განსწავლული ისტორიკოსის, პროფესორ ნანა ხაზარაძის რედაქტორობით ხელდასმულ წიგნში „ქალთა უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში“ მრავალი ისტორიულად დადასტურებული ფაქტია აღწერილი, მათ შორის, სამხრეთ საქართველოში ქალთა მდგომარეობა და სწავლა-განათლების ამსახველი მასალები. ასე მაგალითად, 246-ე გვერდზე აღწერილია, რომ: „1871 წელს ახალციხეში, რაბათში გაიხსნა ქალთა უფასო სკოლა, სადაც საშუალოდ წელიწადში 47 მოსწავლე სწავლობდა, 1886 წლისათვის სკოლაში 47 მოსწავლე სწავლობდა“.

გვ. 261 – „1882 წელს უდეში ერთკლასიანი საერო სასწავლებელი გაიხსნა სამი განყოფილებით. ამ თვალსაჩინო საერო სასწავლებლებში, რომელსაც „დაწყებით სასწავლებლებსაც“ ეძახდნენ, ოცი წლის განმავლობაში გამგედ და მასწავლებლად ივანე ბარიკალაშვილი მუშაობდა“.

„1912 წელს არალში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომლის გამგედ ალ. ხითარიშვილი (ალფონს ხითარიშვილი, კათოლიკე მღვდელი – რედაქცია) დაინიშნა“.

„1913 წელს ვალეში ეკლესიასთან მამა სერაბიმ მერაბიშვილმა (კათოლიკე მოძღვარი – რედაქცია) საეკლესიო სამრევლო სკოლა გახსნა“.

„1914 წელს ვალეში დაარსდა სკოლა, სადაც გამგე-მასწავლებლად ფარხი ბიძინაშვილი დაინიშნა“.

აღნიშნულ და სხვა მასალებში წიგნის ავტორები არსად არაფერს ამბობენ სოფელ ხიზაბავრაში (ასპინძის რაიონი) არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობასა და სკოლის შესახებ, რომელიც მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე დაწყებული იყო.

საწყენია, რომ ასეთი ფაქტის არსებობის შესახებ არაფერი თქვეს აღნიშნული წიგნის პრეზენტაციაზე ისეთმა სწავლულებმა, როგორებიც არიან – ნიკო ახალკაცი, რომან გოგოლაური, ზურა ქუქჩიშვილი, ნატო ყრუაშვილი და სხვები. ასევე გვერდი აუარეს ამ ფაქტებს წიგნის რეცენზენტებმა – ციური ლაფაჩმა და მანანა გაბუნიამ.

ისტორია – ეს ხომ ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალია, რეალური ფაქტების რეალური ასახვა და არა ვარაუდი, არავითარ შემთხვევაში ჩვენი სიმპათია თუ ანტიპათია ფაქტებისა და პიროვნებების მიმართ.

ვფიქრობ, რომ სოფელ ხიზაბავრაში საგანმანათლებლო საქმიანობისა და სკოლების შესახებ არსებობას წიგნის ავტორები შეგნებულად უგულებელყოფენ. თუ რატომ, ეს მათი სინდისისათვის მიმინდვია განსასჯელად. არ შეიძლება, მათ არ იცოდნენ და არ წაეკითხათ ჩემს მიერ მოძიებული მასალები, რომელთა შესახებ აქვე აღვნიშნავ.

1875 წელი გაზეთი „დროება“: „აქ ხიზაბავრაში ექვსი წლის წინ ერთს პატივცემულ მღვდელს, შკოლა დაუწყვია, კედლები აკოშკებით სრულ შეუსრულებია“.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მასალებიდან – ზ. ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი: „1880-1881 წლებში ი. გვარამაძე უძღვებოდა თავის მიერ დაარსებულ ხიზაბავრის ერთკლასიან სამრევლო სკოლას და სურვილი ჰქონდა, რომ იგი დაექვემდებარებინა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“.

1881 წელი გაზეთი „დროება“: „თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას სამცხე-ჯავახეთში 1880 წლის შუახანებიდან დაწყებული ჰქონდა საგანმანათლებლო აგიტაცია და დირექციამ 1881 წლის 23 ნოემბერს ჯავახეთის სოფლებში გახსნა ათამდე სკოლა და მათ შორის ხიზაბავრაშიც“.

1881 წელი, გაზეთი „დროება“: „ხიზაბავრის სკოლაში მასწავლებლად დაუნიშნავთ გ. წითლანაძე, რომელიც წარმატებულად ართმევდა თავს მისადმი მინდობილ საქმეს. 1881 წლის მდგომარეობით ხიზაბავრის სკოლაში ყოფილა 60 მოსწავლე 14 ქალი და დანარჩენი ვაჟი“...

„ქალებს თავის ოთახში ასწავლიდა მასწავლებლის მეუღლე, მაგრამ იმ დალოცვილმა მასწავლებელმა ისე შეაჩვია და-ძმურად ერთმანეთს ბიჭები და გოგოები, რომ ახლა ვგონებ ერთ ოთახში უნდა აკითხონ. წრეულს კი ძალიან ბევრი ეყოლება ბიჭებიც და გოგოებიც – იქნებ სკოლაში არც კი დაეტევიან“.

„... მაგრამ ისე შეგვაყვარა სკოლაც და თავისი თავიც ბატონმა მასწავლებელმა, რომ გოგოებიც მივაბარეთ“.

1904 წელი, გაზეთი „ივერია“: „1904 წელს სოფელს ხუთ განყოფილებიანი (ქალთა სახელსაქმო განყოფილებაც) სკოლის მშენებლობისთვის სტეფანე ზუბალაშვილს 1000 მანეთი შეუწირავს, ხოლო კათოლიკე მღვდელს დომინიკე მუღაშაშვილს – 200 მანეთი“.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 1991 წლის 20 ნოემბერს აღინიშნა ხიზაბავრის სკოლის დაარსების 110-ე წლისთავი. 2011 წლის 20 ნოემბრისთვის დაგეგმილია აღინიშნოს 130-ე წლისთავი.

აღნიშნული და ბევრი სხვა ფაქტი ღაღადებს სამხრეთ საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სოფელ ხიზაბავრის მოკრძალებულ წვლილზეც.

ალექსანდრე ლეკიშვილი

გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი“ №12(188) ოქტომბერი, 2011 წ. გვ. 11

განუსვენე მათ, უფალო!



ეზოფი აფრიამაშვილი
* 28.01.1928 – არალი
† 29.03.2012 – არალი



ფოთა ბარგლიშვილი
* 01.01.1933 – უდე
† 22.03.2012 – უდე

სტეფანე მანველიშვილი
* 04.02.1926 – ვალე
† 12.04.2012 – ვალე

ლუბა თათეშვილი–ძოჩორაძე
* 01.02.1941 – თბილისი
† 02.04.2012 – არალი

ტარიელ ჩიტაშვილი
* 27.05.1958 – ვალე
† 03.04.2012 – ვალე

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

უჩვეულო სიუჰჰიზი

უფლის ბრწყინვალე აღდგომით გამოწვეული სიხარული სუფევდა ვალელი ახალგაზრდების გულებში. ჩვენ ყოველ დღესასწაულზე ვაწყობთ ახალგაზრდულ შეხვედრებს და ამ ტრადიციისთვის არც ამჯერად გვიღალატნია.

10 აპრილს, საღამოს 18 საათზე მოვაწყვეთ შეხვედრა მამა ზურაბთან და მამა მიროსლავთან ერთად. ჩვეულებისამებრ, შეკრება დავიწყეთ ლოცვითა და გალობით, შემდეგ აღდგომის დღესასწაული მივულოცეთ ერთმანეთს და წითელი კვერცხები „დავუჭახუნეთ“. მცირე ვახშმის შემდეგ, ჩავატარეთ ვიქტორინა რელიგიურ და ინტელექტუალურ თემებზე, რამაც ყველას დიდი ინტერესი გამოიწვია.

მამა მიროსლავს ჩვენთვის მომზადებული ჰქონდა თამაში, სახელწოდებით — „ვიზრდებით“, რამაც ძალიან გაგვახალისა, ასევე მომზადებული გვქონდა თამაში „მფარველი ანგელოზი“. მისი იდეა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველამ, ერთმანეთისაგან ფარულად, მოვამზადეთ საჩუქრები და მოულოდნელად გადავეცით ერთმანეთს; ასევე, იესოსგანაც „მიიღო“ წერილი ყველა ჩვენგანმა. ბოლოს კი მამა ზურაბმა გაგვაკვირვა და გაგვახარა მოულოდნელი სიურპრიზით: მას ნახერხისა და ბენზინის ნარევისგან მოუმზადებია გულის ფორმა, როგორც სიმბოლო იესოს უწმინდესი გულისა. როდესაც ეზოში გავედით და გალობა დავიწყეთ, მამა ზურაბმა ცეცხლი აანთო და ჩვენს თვალწინ აგიზგიზდა ეს მშვენიერი კოცონი — „ცეცხლოვანი გული“, ნიშნად იმისა, რომ ჩვენი გულებიც დიდი სიყვარულით შეუერთდა იესოს მგზნებარე გულს.

შეხვედრა დასრულდა და ბედნიერები და გახარებულები დავიშალეთ კვლავ შეხვედრის იმედით.

ეკა ხითარიშვილი

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
ქრისტიანული ოჯახი..... 10
სოციალური პრობლემები 11
სხვა ქრისტიანული ეკლესიები..... 12
საარქივო მასალები..... 14
ფიქრები სიქსტეს მადონაზე 15
ინფორმაცია 16
სხვა გაზეთებიდან 17
ახალგაზრდული გვერდი..... 18
ყმაწვილთათვის 19
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2012

როგორ განუსაზღვრა ღმერთმა ადამიანს სიცოცხლის ხანგრძლივობა

– უფალო, რამდენ ხანს უნდა ვიცოცხლო? – ჰკითხა ღმერთს სახედარმა.

– 30 წელი, – უპასუხა ღმერთმა, – თანახმა ხარ?

– აჰ, ეს ხომ ძალიან დიდი დროა. ვერ გავძლებ ამდენ ხანს, რადგან ჩემი ცხოვრება მძიმეა. ზურგი მტკივა გამუდმებული ცემისგან, რომელსაც მადლობის მაგივრად ვღებულობ ჩემი სამუშაოსთვის. ნუ მომცემ ასე დიდი ხნის სიცოცხლეს, უფალო! – შეევედრა ღმერთს სახედარი.

ღმერთი ახლა ძაღლს მიუბრუნდა და უთხრა:

– მართალია, 30 წლის სიცოცხლე სახედრისთვის დიდი დროა, მაგრამ, იმედია, შენ არ იქნები ამის წინააღმდეგი.

– მართლა გსურს, რომ ამდენ ხანს ვიცხოვრო? შენც იცი, რომ გამუდმებით უნდა ვირბინო. 30 წელი კი ამდენ სირბილს ჩემი ფეხები ვერ გაუძლებს. ხოლო როდესაც დავბერდები, ერთი კუთხიდან მეორემდე თუ შევძლებ მისვლას; თანაც მუდამ ფხიზლად უნდა ვიყო, რათა ბავშვებმა ცემა არ დამიწყონ. – უპასუხა ღმერთს ძაღლმა.

– მართალი ხარ, – უთხრა უფალმა, – მე შენ 12 წელიწადს გაჩუქებ.

– შენ თუ ისურვებდი 30 წლის სიცოცხლეს? – ახლა მაიმუნს მიმართა ღმერთმა, – შენ ხომ არც სახედარივით მძიმე სამუშაოს შესრულება გიწევს და არც ძაღლივით გამუდმებული სირბილი. ესეც არ იყოს, სულ კარგ გუნებაზე ხარ!

– შორიდან მართლაც ასე ჩანს, მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა. ადამიანებს სურთ, რომ გავაცინო, ამიტომ სულ მხიარულ ხასიათზე უნდა ვიყო. მაშინაც კი ვიცინი, როცა მჟავე კიტრს გადმომიგდებენ ხოლმე. არა, 30 წელიწადს ვერ გავძლებ! – მტკიცედ განუცხადა ღმერთს მაიმუნმა.

– შენ 30 წელს იცოცხლებ, – მიმართა ღმერთმა ადამიანს,

– საკმარისია ეს შენთვის?

– ნუთუ სწორედ მაშინ უნდა მოვკვდე, როცა სახლს ავიშენებ და მძიმე შრომით რაღაცას მივაღწევ! რატომ მარგუნე ასეთი ხანმოკლე სიცოცხლე, უფალო? – შეჰღაღადა ადამიანმა ღმერთს.

– მართალი ხარ, იყოს ასე, – ბრძანა უფალმა, – მე შენ გიბოძებ სახედრის სიცოცხლის 18 წელიწადს და ძაღლის სიცოცხლის 12 წელიწადს.

– მაინც ძალიან ცოტაა! – შესჩივლა ადამიანმა ღმერთს.

– კარგი, მაშინ მაიმუნის სიცოცხლის 10 წელიწადს დაგიმატებ კიდევ, მაგრამ ამაზე მეტს ვეღარ მიიღებ! – მიუგო უფალმა.

გერმანულიდან თარგმნა
ვერიკო ნოზაძემ